ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

KONRAD
ADENAUER
STIFTUNG

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოში: რუკა და ანალიზი

თბილისი, 2021

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოში: რუკა და ანალიზი

თბილისი, 2021

აღნიშნული ანგარიში გამოიცა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CRRC-საქართველო და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ახორციელებს კონრად ადენაუერის ფონდი (KAS) სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

სარჩევი

დიაგრამების ჩამონათვალი ... 3

რეზიუმე ... 4

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (სსო-ების) მმართველობა, სტრუქტურა და ანგარიშვალდებულება ... 4

ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობა ... 5

მუშაობა საჯარო პოლიტიკის მიმართულებით და სხვა აქტორებთან თანამშრომლობა ... 6

ეფექტურობის თვითშეფასება ... 6

რეკომენდაციები ... 7

შესავალი ... 8

კონტექსტის მიმოხილვა ... 9

მეთოდოლოგია ... 13

მიგნებები ... 14

საქართველოს სსო-ების მართვის თავისებურებები ... 14

გეოგრაფიული განაწილება ... 14

მართვა ... 15

საქმიანობის თემატიკა ... 18

ურთიერთობები ბენეფიციარებთან ... 19

ანგარიშგება ... 21

კომუნიკაციის არხები ... 21

ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობა ... 24

ფინანსური ბრუნვის მოცულობა ... 24

დაფინანსების წყაროები ... 25

მონაწილეობა საჯარო პოლიტიკის დიალოგსა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობაში ... 28

სამთავრობო დაწესებულებებთან თანამშრომლობა ... 28

ინიციატივები კორონავირუსის პანდემიის შედეგების შემსუბუქების შესახებ ... 30

სხვა აქტორებთან თანამშრომლობა ... 31

ეფექტურობის თვითშეფასება ... 32

დასკვნა და რეკომენდაციები ... 34

ბიბლიოგრაფია ... 37

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეგიონული განაწილება 2021 წლის თებერვლის მდგომარეობით. (%, რ-ნობა, წყარო: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი) 9

დიაგრამა 2: საქართველოში ორგანიზაციების მიმართ სრულად დადებითი დამოკიდებულება CRRC-საქართველოს „კავკასიის ბარომეტრის" გამოკითხვის მიხედვით, 2008-2020 წლები 12

დიაგრამა 3: საქართველოს რომელ რეგიონებში ახორციელებდა თქვენი ორგანიზაცია პროექტებს 2019 წლის იანვრიდან დღემდე? *გარდა ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ ტერიტორიებისა, რაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს საქართველოს ხელისუფლების ამჟამინდელი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიისაგან ჰყოფს. (%, რ-ნობა) 14

დიაგრამა 4: 2019 წლის იანვრიდან დღემდე, რომელ საკითხებზე იმუშავა/მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? (%, რ-ნობა) 18

დიაგრამა 5: ქართული ორგანიზაციების საქმიანობის თემატური არეალი (წყარო: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, %, რ-ნობა) 19

დიაგრამა 6: ბოლო სამი წლის შესახებ თუ იფიქრებთ, გქონდათ თუ არა შეხვედრები ხალხთან ან თქვენი ორგანიზაციის ბენეფიციარებთან შემდეგი მიზნებისთვის? (%, რ-ნობა) 20

დიაგრამა 7: ორგანიზაციების მიერ გამოყენებული კომუნიკაციის არხები. ორგანიზაციების რაოდენობა (%, რ-ნობა) 22

დიაგრამა 8: საქართველოს მოქალაქეებს შორის თქვენი ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების რომელი საშუალებაა ყველაზე ეფექტური? (%, რ-ნობა) 23

დიაგრამა 9: რა იყო თქვენი ორგანიზაციის დაფინანსების წყარო? (%, რ-ნობა) 25

დიაგრამა 10: დასახელებული შემოსავლის წყაროების საშუალო წილი (%) 26

დიაგრამა 11: ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ინიციატივების რაოდენობა თემატური საკითხის მიხედვით 29

დიაგრამა 12: საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების პროცესთან დაკავშირებული ინიციატივების რაოდენობა 30

დიაგრამა 13: რომელია ის ორი ძირითადი პრობლემა, რომლის წინაშეც თქვენი ორგანიზაცია 2019 წლის იანვრიდან დღემდე დადგა? (%, რ-ნობა) 33

რეზიუმე

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (სსო-ების) მმართველობა, სტრუქტურა და ანგარიშვალდებულება

- საქართველოში დაახლოებით 1,2-დან 2,3 ათასამდე სუბიექტია, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ორგანიზაციების კლასიფიცირების სირთულეები არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსის თავისებურებებიდან გამომდინარეობს, რადგანაც ამ იურიდიულ ფორმას მთავრობასთან დაკავშირებული ბევრი სტრუქტურაც იყენებს.

- გამოკითხული ორგანიზაციები საქართველოს ყველა რეგიონში არიან წარმოდგენილი. ისინი ასევე საქართველოს მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში არიან რეგისტრირებული. თითქმის ნახევარს წარმომადგენლები რეგისტრაციის ადგილისგან განსხვავებულ დასახლებულ პუნქტებშიც ჰყავს. ამავდროულად, სსო-ების უმრავლესობა საქმიანობას თბილისიდან და ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ახორციელებს.

- საქართველოში მოქმედი სსო-ები უმეტესად მცირე ზომისაა და მათში სრულ განაკვეთზე, საშუალოდ, რვა ადამიანი მუშაობს. ორგანიზაციების დაახლოებით მეხუთედს ერთი ან არცერთი მუდმივი თანამშრომელი ჰყავს. სსო-ებში ქალები კარგად არიან წარმოდგენილნი, განსაკუთრებით კი იმ ორგანიზაციებში, რომლებიც თბილისში მდებარეობენ.

- სსო-ების ნახევარზე ოდნავ მეტი საქმიანობაში იყენებს მოხალისეებს. 2019 წელს, გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესობას (55%) პროექტებში მოხალისეები ჰყავდა ჩართული. გამოკითხული ორგანიზაციების თითქმის ნახევარს (49%) ქალ მოხალისეებთან უმუშავია.

- გამოკითხული ორგანიზაციების ნახევარზე მეტი საკუთარ თავს სათემო ორგანიზაციად მიიჩნევს.

- გამოკითხული სსო-ების მხოლოდ ერთ მეათედს აქვს საქველმოქმედო სტატუსი.

- გამოკითხული ორგანიზაციები მრავალფეროვან საკითხებზე მუშაობენ. მათი უმრავლესობა კონცენტრირებულია ახალგაზრდების პოლიტიკაზე, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე, ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვის საკითხებზე.

- სსო-ების უმრავლესობა საკუთარ ბენეფიციარებთან და სამიზნე აუდიტორიასთან გადის კონსულტაციებს - გამოკითხული ორგანიზაციების 89 პროცენტმა აღნიშნა, რომ საკუთარ ბენეფიციარებსა და სამიზნე აუდიტორიასთან შეხვედრა მოუწყვია. ასეთი კონსულტაციები მაშინ ეწყობა, როდესაც ორგანიზაციებს კონკრეტული პროექტების ან სტრატეგიული მიზნების შემუშავება სჭირდებათ.

- სსო-ები სირთულეებს ფინანსური და ოპერაციული გამჭვირვალობის თვალსაზრისით აწყდებიან. მათი მხოლოდ მცირე ნაწილი ამზადებს და აქვეყნებს წლიური საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის ოფიციალურ ანგარიშებს. გამოკითხული ორგანიზაციების სამ მეოთხედზე მეტმა აღნიშნა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში, საქმიანობის ანგარიში არ გამოუქვეყნებია.
- გამოკითხული ორგანიზაციების სამ მეოთხედს შემუშავებული აქვს კომუნიკაციის ან ინფორმაციის გავრცელების სტრატეგია.
- გამოკითხული ორგანიზაციების უმრავლესობა სოციალურ მედიაშია წარმოდგენილი. ორგანიზაციების დაახლოებით 84%-ს აქვს „ფეისბუქი." უფრო მცირე ნაწილს აქვს „ინსტაგრამის" გვერდი, გააჩნია საკუთარი პროფილი „ტვიტერსა" და „ლინკდინზე".
- სსო-ების უმეტესობა სოციალურ ქსელებს სამიზნე ჯგუფებთან კომუნიკაციის ყველაზე ეფექტურ გზად თვლის. საინტერესოა, რომ სსო-ების მცირე ნაწილი მიიჩნევს კომუნიკაციის ეფექტურ საშუალებად ტელევიზიას ან ვებგვერდს.

ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობა

- კორონავირუსის პანდემიამდე, ქართული ორგანიზაციების ფინანსური ბრუნვა იზრდებოდა. თუმცა, თვალსაჩინო იყო უთანასწორობა თბილისსა და დედაქალაქს გარეთ მოქმედ ორგანიზაციებს შორის.
- გამოკითხულმა ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ 2019 წელს, მათი ფინანსური ბრუნვა 65 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც 2018 წლის მონაცემებთან შედარებით, 16.7 მილიონი ლარით მეტია.
- 2019 წელს, ქართული ორგანიზაციები მნიშვნელოვანწილად საერთაშორისო დონორებზე იყვნენ დამოკიდებული. ზოგადად, ორგანიზაციები შემოსავლის წყაროების მრავალფეროვნით არ გამოირჩეოდნენ. თითოეულ ორგანიზაციას, საშუალოდ, დაახლოებითდაფინანსების ერთი წყარო ჰქონდა.
- 2019 წელს, საერთაშორისო დონორების გრანტები გამოკითხული ორგანიზაციების შემოსავლის დაახლოებით 53%-ს შეადგენდა.
- 2019 წელს, გამოკითხული ორგანიზაციების დაახლოებით ერთი მეხუთედი (20%) ახორციელებდა დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას.
- 2019 წელს, ორგანიზაციების მხოლოდ 6%-მა აღნიშნა, რომ თანხის მასობრივი მობილიზების სქემას ე.წ. „ქრაუდფანდინგს" იყენებდა.
- 2018-2020 წლებში, ორგანიზაციების ერთ მესამედს ჰქონდა დაფინანსება ბიზნესკომპანიებისგან, ხოლო ორგანიზაციების 18% ბიზნესთან ერთობლივ პროექტებში იყო ჩართული. სსო-ების მსგავსმა წილმა ბიზნეს-ორგანიზაციებს ფასიან

მომსახურება გაუწია, 14%-მა ბიზნესებისგან მიიღო შემოწირულობები, ხოლო 7%-მა – პრო-ბონო სერვისი.

- 2018-2020 წლებში, სსო-ების 31%-მა მიიღო სახელმწიფო დაფინანსება. საერთო ჯამში, გამოკითხულმა ორგანიზაციებმა ამ პერიოდში მთავრობისგან 4,3 მილიონი ლარი მიიღეს. ეს მაჩვენებელი 50%-ით მედია 2016-2017 წლების შესაბამის პერიოდთან შედარებით, როცა სსო-ებმა მთავრობისგან 2,8 მილიონი ლარი მიიღეს.

მუშაობა საჯარო პოლიტიკის მიმართულებით და სხვა აქტორებთან თანამშრომლობა

- სსო-ების ნახევარზე ნაკლებს (47%) უთანამშრომლია სამთავრობო უწყებებთან ერთად საჯარო პოლიტიკის ინიციატივებზე. ასეთი ორგანიზაციები ძირითადად საქართველოს ქალაქებსა და თბილისშია თავმოყრილი.
- ინიციატივების ყველაზე დიდი რაოდენობა ახალგაზრდულ პოლიტიკასა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საკითხებს ეხება.
- წარდგენილი ინიციატივების უმეტესობა ადგილობრივი მთავრობის იურისდიქციაში ხვდებოდა.
- გამოკითხული სსო-ების დაახლოებით 37%-ს უმუშავია საკითხებზე, რომლებიც ნაწილობრივ ან სრულად უკავშირდებოდა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების პროცესს.
- ორგანიზაციების თითქმის ნახევარს განუხორციელებია კორონავირუსის პანდემიის შედეგების აღმოსაფხვრელი პროგრამები.
- გამოკითხული ორგანიზაციები აქტიურად თანამშრომლობენ სხვა სსო-ებთან ქსელების და პლატფორმების ფარგლებში.

ეფექტურობის თვითშეფასება

- ორგანიზაციების უმეტესობა მათ წინაშე მდგარ მთავარ პრობლემებად დაფინანსების წყაროების ერთგვაროვნებას (55%) და ფინანსების ნაკლებობას (54%) ასახელებს.
- კითხვაზე, რამდენად ენდობა საქართველოს მოსახლეობა სსო-ებს, გამოკითხული ორგანიზაციების უმრავლესობას მკაფიო პასუხი არ ჰქონდა და უმეტესად აღნიშნავდა, რომ მომსახლეობა სსო-ებს ნაწილობრივ ენდობა.
- გამოკითხულთა დაახლოებით ერთი მეხუთედის აზრით, მათი ორგანიზაცია საქართველოს ყველაზე გავლენიან სსო-ებს შორისაა.

რეკომენდაციები

- სსო-ებმა ფინანსური და ოპერაციული გამჭვირვალობის საკითხებს უნდა მეტი ყურადღება მიაქციონ. სასურველია, რომ ორგანიზაციებმა რეგულარულად მოამზადონ და ფართო საზოგადოებას მიაწოდონ საქმიანობისა და ფინანსური ანგარიშები.
- საერთო ბრუნვის ზრდის მიუხედავად, სსო-ები მოიკოჭლებენ დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნების მხრივ. ამდენად, მნიშვნელოვანია, მათ მოიძიონ დაფინანსების ალტერნატიული წყაროები.
- ამასთან, იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც ჩართული არიან ბიზნესთან საერთო პროექტებში ან იღებენ სახელმწიფო დაფინანსებას, უნდა უზრუნველყონ, რომ მათ მიერ განხორციელებული პროგრამები და აქტივობები დამფინანსებლების სასარგებლოდ მიკერძოებული არ გახდეს.
- კვლევა აჩვენებს, რომ ორგანიზაციებისთვის საჯარო პოლიტიკის რეკომენდაციების კომუნიკაციის საუკეთესო ადგილი ადგილობრივი თვითმმართველობებია. შესაბამისად, სასურველია, რომ უფრო მეტმა სსო-მ ითანამშრომლოს ადგილობრივ თვითმმართველობებთან და ადვოკატირება გაუწიოს მათი ბენეფიციარებისა და თემის საჭიროებებს.

შესავალი

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სიმარტივისთვის, ტექსტში გამოვიყენებთ სსო-ს) საქართველოს მდგრადი და დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, ქვეყნის ისტორიის სამი ათეული წლის მანძილზე, სწორედ ისინი იდგნენ დემოკრატიული ცვლილებების სათავეში და ხშირად გზას უკვალავდნენ ქვეყანას პოლიტიკური გამოწვევებით სავსე პერიოდებში.[1] ორგანიზაციების მონაწილეობა საჯარო პოლიტიკის დიალოგში და მათი მთავრობის მაკონტროლებელი, ე.წ. „ვოჩდოგური" საქმიანობა აუცილებელია ანგარიშვალდებული ხელისუფლების ჩამოსაყალიბებლად და სახელმწიფო პოლიტიკის ფართო საზოგადოების საჭიროებებზე მოსარგებად.

მიუხედავად იმისა, რომ სსო-ები ვითარდებიან, მათ წინაშე მდგარი გამოწვევები ორგანიზაციებს ხელს უშლის, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. კვლევის მიზანია, წარმოადგინოს საქართველოში მოქმედი სსო-ების მტკიცებულებებზე დაფუძნებული აღწერა. ნაშრომის კონკრეტული ამოცანებია ორგანიზაციების შესაძლებლობების და ორგანიზაციული მახასიათებლების, დაფინანსების წყაროების, სხვადასხვა აქტორთან თანამშრომლობისა და საჯარო პოლიტიკაში მონაწილეობის თავისებურებების გამოკვლევა.

კვლევის პირველი ასპექტი ორგანიზაციების შესაძლებლობებს შეეხება. ის აღწერს ორგანიზაციების აქტივობების გეოგრაფიულ განაწილებას საქართველოს მასშტაბით. წარმოდგენილი ანგარიში ასევე აანალიზებს სსო-ებში არსებულ ადამიანურ რესურსებს. იგი აფასებს, რამდენად გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულნი არიან ორგანიზაციები ბენეფიციარებისა და საზოგადოების წინაშე.

ფინანსური მდგრადობა და დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნება ქართული სსო-ებისთვის მწვავე პრობლემებს წარმოადგენს. ანგარიშში წარმოდგენილია 2016-2019[2] წლების განმავლობაში ორგანიზაციების ფინანსური ბრუნვის დეტალური მიმოხილვა და დაფინანსების არსებული წყაროების დაწვრილებითი ჩამონათვალი. კვლევა აანალიზებს დაფინანსების შედარებით ახალი, არატრადიციული სქემების გამოყენების მასშტაბს. ამგვარი სქემებია ფინანსური რესურსების მოზიდვა ბიზნესსექტორისგან, სოციალური მეწარმეობა, საქველმოქმედო საქმიანობა და ა.შ.

ზოგი სსო წარმატებით თანამშრომლობს სხვადასხვა აქტორთან, მაგალითად, ეროვნული მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, საერთაშორისო დონორებთან, ბიზნესკომპანიებთან და მედიასთან. ბევრს კი ასეთი გავლენის მოპოვებამდე ჯერ დიდი გზა აქვს გასავლელი. რაც შეეხება საჯარო პოლიტიკის დიალოგის სხვადასხვა

[1] Oliver Reisner, 'On the Specifics of the Development of Civil Society in Georgia', წიგნში *Modernization in Georgia: Theories, Discourses and Realities* (Bern, Berlin: Peter Lang, 2018), https://doi.org/10.3726/b12792/17.

[2] რამდენიმე შემთხვევაში, ორგანიზაციებს დავუსვით კითხვა „2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე", რაც მოიცავდა 2020 წლის ბოლოსთვის არსებულ მდგომარეობას

პლატფორმაში მონაწილეობას, ამ მხრივ სსო-ების უმრავლესობა მოიკოჭლებს. წარმოდგენილი ანგარიში იკვლევს ასეთი თანამშრომლობის მასშტაბსა და ხასიათს.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია: თავდაპირველად, წარმოდგენილია კონტექსტის მოკლე მიმოხილვა, სადაც აღწერილია საქართველოში სსო-ების სამოქმედო გარემოს სამართლებრივი და სტრუქტურული თავისებურებები. შემდეგ განხილულია გამოყენებული მეთოდოლოგია. ამას მოსდევს ძირითადი მიგნებები, კერძოდ - ორგანიზაციების შიდა მმართველობის სტრუქტურის აღწერა და მათი ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობის მიმოხილვა. მომდევნო თავი ორგანიზაციების შესაძლებლობებსა და სხვა აქტორებთან თანამშრომლობის ხასიათს აფასებს. ანგარიშის ემპირიული ნაწილი საჯარო პოლიტიკის დიალოგში ორგანიზაციების მონაწილეობის აღწერით სრულდება. ანგარიშის ბოლოში წარმოდგენილია დასკვნები და მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები.

კონტექსტის მიმოხილვა

დაზუსტებით ძნელია იმის თქმა, თუ რამდენი სსო ფუნქციონირებს საქართველოში. როგორც წესი, ორგანიზაციები რეგისტრირდებიან, როგორც საჯარო სამართლის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირები (ააიპ). ესაა არაკომერციული ორგანიზაციების ერთადერთი იურიდიული ფორმა საქართველოში. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოსთან დაკავშირებული ბევრი ორგანიზაცია, როგორებიცაა საბავშვო ბაღები, მუნიციპალური სერვისების სხვადასხვა მიმწოდებლები და სპორტული ფედერაციები ასევე ააიპ-ებად რეგისტრირდებიან. 2020 წლის აგვისტოში საქართველოში რეგისტრირებული იყო დაახლოებით 24 ათასი ააიპ, მათ შორის 3 ათასი აქტიური სუბიექტი გახლდათ. მთავრობასთან აფილირებულ ორგანიზაციებს თუ გამოვრიცხავთ, რჩება დაახლოებით 2,3 ათასი სუბიექტი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციად შეგვიძლია მივიჩნიოთ. „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ შეფასებით, საქართველოში დაახლოებით 1,2 ათასი სსო მუშაობს, მათ შორის არიან სათემო ორგანიზაციებიც.[3]



დიაგრამა 1: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეგიონული განაწილება 2021 წლის თებერვლის მდგომარეობით. (%, რ-ნობა, წყარო: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი)

[3] CSO Georgia, 'Main page [მთავარი გვერდი]', CSO Georgia, 2021, https://csogeorgia.org/ge.

„სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ მონაცემები გარკვეულ ნათელს ჰფენს ორგანიზაციების რეგიონული განაწილების საკითხს. მათ მონაცემთა ბაზაში არსებული ორგანიზაციების უმრავლესობა (428) თბილისშია რეგისტრირებული. ამას მოჰყვება იმერეთი (155), კახეთი (123) და აჭარა (123). ორგანიზაციების ყველაზე მცირე რაოდენობა მცხეთა–მთიანეთში (47), გურიაში (43) და რაჭა–ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია (26) რეგისტრირებული.

საქართველოში სსო–ები შედარებით თავისუფალ და ხელსაყრელ სამართლებრივ გარემოში საქმიანობენ.[4] ააიპ–ის რეგისტრაცია საკმაოდ მარტივია.[5] საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო სსო–ებს საშუალებას აძლევს, ყოველგვარი ჩარევის გარეშე იმოქმედონ და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები, როგორც წესი, მართლაც იყენებენ პრაქტიკაში ამ უფლებებს.[6] თუმცა, ზოგი ორგანიზაცია ამ მიმართულებით პრობლემებს აწყდება. მაგალითად, სექსუალურ უმსირესობათა უფლებების დამცველი ჯგუფების წინაშე ხშირად ისეთი სირთულეები დგას, რაც მათი თანამშრომლებისა და ბენეფიციარების უსაფრთხოებას ეხება,[7] რადგან დაფიქსირდა მათ წარმომადგენლებზე თავდასხმის შემთხვევები.[8]

სსო–ებს შეუძლიათ, განახორციელონ ნებისმიერი აქტივობა, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობით არაა შეზღუდული, მათ შორის კომერციული საქმიანობა.[9] ორგანიზაციებს შეუძლიათ ქველმოქმედებაში ჩართვა, სოციალური მეწარმეობა[10] და სხვადასხვა სუბიექტისთვის, მათ შორის – მთავრობისთვის, სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევა. ორგანიზაციები შედარებით ხელსაყრელი საგადასახადო გარემოთიც სარგებლობენ. ამის მიუხედავად, არსებული რეგულაციები ხანდახან საგადასახადო ორგანოების მხრიდან ინტერპრეტაციის საგანი ხდება.[11]

მაშინ, როდესაც მსხვილ ქართულ სსო–ებს ჩამოყალიბებული სტრუქტურა აქვთ და კარგადაც იმართებიან, ორგანიზაციების უმეტესობა ამ მხრივ განვითარებას საჭიროებს. ეს ორგანიზაციები იშვიათად ადგენენ სტრატეგიულ გეგმებს და ნაკლებად ცდილობენ, ერთი მხრივ, დაფინანსების წყაროების და, მეორე მხრივ, საქმიანობის თემატიკისა თუ მიმართულებების გამრავალფეროვნებას. ორგანიზაციების ინსტიტუციური სიცოცხლისუნარიანობა ხშირად მათი დამფუძნებლების შეხედულებებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ძალიან იშვიათია რეალური ზედამხედველობა ბენეფიციარების, საზოგადოებისა თუ სამეურვეო საბჭოების მხრიდან.[12]

---

[4] Erin McCarthy et al., ‘2019 Civil Society Organization Sustainability Index’ (Tbilisi: USAID, 2019).

[5] Mariam Latsabidze, ‘Assessing the Civil Society Environment in the Eastern Partnership Countries: Georgia’ (Tbilisi: Civil Society Institute, 2019).

[6] ევროკავშირის დელეგაცია, "ევროკავშირის საგზაო რუკა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისათვის, 2018–2020" (თბილისი, 2018), https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/dc3/6b3/5cddc36b36e40129876779.pdf.

[7] McCarthy et al. 2019.

[8] Latsabidze, ‘Assessing the Civil Society Environment in the Eastern Partnership Countries: Georgia’.

[9] Latsabidze.

[10] ეკა დათუაშვილი, "სოციალური მეწარმეობა საქართველოში: საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა" (თბილისი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020), https://www.civilin.org/pdf/Social_Enterprise_geo.pdf.

[11] Latsabidze, ‘Assessing the Civil Society Environment in the Eastern Partnership Countries: Georgia’.

[12] McCarthy et al., ‘2019 Civil Society Organization Sustainability Index’.

აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის ანგარიშის მიხედვით, ქართული ორგანიზაციებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან გამოწვევას ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა წარმოადგენს.[13] ორგანიზაციების მიერ მიღებული დაფინანსების უმეტესობა საერთაშორისო დონორებისგან მოდის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს სსო–ების დაფინანსების სხვადასხვა სქემა აქვს: გრანტების, პროგრამული დაფინანსების, ვაუჩერებისა თუ სუბსიდიების სახით, ამ წყაროებით ორგანიზაციების ძალიან მცირე ნაწილი სარგებლობს.[14] ორგანიზაციების კიდევ უფრო მცირე ნაწილი იღებს დაფინანსებას ბიზნეს სექტორისგან ან შემოწირულობების სახით, ან – თავად მისდევს სოციალურ მეწარმეობას.[15]

ქართული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ საჯარო პოლიტიკაში.[16] საქართველოს კანონმდებლობით, გადაწყვეტილების მიღებისა და მასზე ზედამხედველობის პროცესში მოქალაქეების ჩართულობის მრავალი გზა არსებობს და ამდენად, სსო–ებს ამ პროცესებში ჩართვის არაერთი შესაძლებლობები აქვთ. ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიძლება მიიწვიონ საქართველოს პარლამენტის საკონსულტაციო საბჭოებში, როგორიცაა, მაგალითად, გენდერული თანასწორობის, ღია მმართველობისა და ბავშვთა უფლებების საბჭოები. გარდა ამისა, სსო–ებს შეუძლიათ, ჩაერთონ პარლამენტის თემატურ საგამოძიებო ჯგუფებში.

საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე ჩამოაყალიბოს სხვადასხვა საკონსულტაციო ჯგუფი და მათში სსო–ები მიიწვიოს. ქართული სსო–ების წარმომადგენლები მონაწილეობენ სხვადასხვა უწყებათაშორის კომისიაში, მათ შორის – ღია მმართველობისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ასეთი დიალოგისთვის არსებობს ცალკე მექანიზმები, როგორიცაა, მაგალითად, საკრებულოებთან მოქმედი კომისიების შექმნა.[17]

მიუხედავად ამისა, ხელისუფლებასა და სსო–ებს შორის საჯარო პოლიტიკის დიალოგი ხშირად სირთულეებს აწყდება, რადგან ასეთი კონსულტაციების გამართვის ერთიანი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს.[18] საჯარო კონსულტაციებში ორგანიზაციების ჩართვის გადაწყვეტილება ხშირად მომწვევი უწყების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული ან მსხვილი საერთაშორისო დონორის მოთხოვნით ხორციელდება, ნაცვლად იმისა, რომ საყოველთაოდ მიღებულ და საჭირო ნორმად ითვლებოდეს.[19]

---

[13] იქვე.

[14] Latsabidze, ‘Assessing the Civil Society Environment in the Eastern Partnership Countries: Georgia’.

[15] დათუაშვილი, "სოციალური მეწარმეობა საქართველოში: საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა".

[16] Lasha Gogidze, ‘Analysis of a Legislative Framework and Practices on Public Participation and Consultations in Georgia’ (Tbilisi: Sofreco, 2021).

[17] იქვე.

[18] Tamar Gvaramadze, ‘Assessment of Laws and Procedures: Georgia’, in *Civil Participation in Decision Making in the Eastern Partnership Countries. Part One: Laws and Policies*, ed. Jeff Lovitt (Strasbourg: Council of Europe, 2016), https://rm.coe.int/168065755a.

[19] ვაჟა სალამაძე და ქეთევან ირემაშვილი, "სსო მეტრი: სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. საქართველოს ანგარიში" (თბილისი: არაკომერციული კანონის ევროპული ცენტრი, 2020).



დიაგრამა 2: საქართველოში სსო-ების მიმართ „ჯამური დადებითი დამოკიდებულება" CRRC-საქართველოს „კავკასიის ბარომეტრის" გამოკითხვის მიხედვით, 2008-2020 წლები

საქართველოს სსო-ებს უწევთ შედარებით უარყოფითი საზოგადოებრივი განწყობების ფონზე საქმიანობა. „CRRC-საქართველოს" „კავკასიის ბარომეტრის" გამოკითხვის მიხედვით, ორგანიზაციების მიმართ ჯამური დადებითი დამოკიდებულება 2012 წლების შემდეგ მცირდება. ჯამურად დადებითი დამოკიდებულება წარმოადგენს დადებითი (სრულად ვენდობი, ნაწილობრივ ვენდობი) და უარყოფითი (ნაწილობრივ არ ვენდობი, საერთოდ არ ვენდობი) განწყობების პროცენტულ წილებს შორის სხვაობას, როდესაც რესპონდენტები პასუხობდნენ კითხვაზე, თუ რამდენად ენდობიან ქართულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (დიაგრამა 2). 2019 წელს, „ჯამური დადებითი დამოკიდებულების" ინდექსი მინიმალურ ზღვარზე იყო -5 ქულით, ხოლო 2020 წელს მისმა მაჩვენებელმა 7 პუნქტით მოიმატა და +2 ქულას მიაღწია.[20] საერთო ჯამში, 2020 წელს, საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის 2% სრულად ენდობოდა სსო-ებს, 22% ნაწილობრივ ნდობას აფიქსირებდა, დაახლოებით 11% საერთოდ არ ენდობოდა და იგივე წილი ნაწილობრივ არ ენდობოდა მათ.[21]

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მოქმედი სსო-ების უმეტესობა თბილისსა და ქვეყნის მსხვილ ქალაქებშია კონცენტრირებული. ისინი შედარებით თავისუფალ გარემოში საქმიანობენ. მიუხედავად ამისა, ბევრი სსო ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობას განიცდის და პრობლემები აქვს მართვაში. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციებისთვის არსებობს საჯარო პოლიტიკის დიალოგში ჩართვის შესაძლებლობები, საბოლოოდ, მაინც სამთავრობო უწყებებზეა დამოკიდებული, მისცემენ თუ არა სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს პროცესში რეალური მონაწილეობის საშუალებას.

[20] CRRC-საქართველო, "ნდობა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ", Caucasusbarometer.org, 2021, https://caucasusbarometer.org/en/cb2020ge/TRUNGOS/.

[21] იქვე.

მეთოდოლოგია

მოცემული კვლევა საქართველოში მოქმედი 249 სსო-ს გამოკითხვას ეფუძნება. გამოკითხვის ინსტრუმენტი მოიცავს ორგანიზაციულ შესაძლებლობებზე, ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობაზე, საკვანძო აქტორებთან, ბენეფიციარებთან და ხალხთან ურთიერთობაზე, ასევე საჯარო პოლიტიკის მიმართულებით საქმიანობაზე დასმულ კითხვებს. კითხვარის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემდეგ დოკუმენტს - "ევროკავშირის საგზაო რუკა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისათვის, 2018-2020".[22] გამოკითხვის ინსტრუმენტი ნაწილობრივ ასევე დაეფუძნა ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განცითარების ინიციატივა“ (2017-2021) ფარგლებში 2017 წელს ჩატარებულ სსო-ების საბაზისო გამოკითხვას.[23]

შერჩევის ჩარჩოდ აღებული იყო სსო-ების მონაცემთა ბაზა (1 154 ორგანიზაცია), რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა შეადგინა. „CRRC-საქართველო“ ყველა რესპონდენტს ელექტრონული ფოსტით დაუკავშირდა და ონლაინკითხვარის შევსება სთხოვა. გამოპასუხების სათანადო დონის უზრუნველყოფისათვის, „CRRC-საქართველო“ რესპონდენტებს დამატებით რამდენჯერმე დაუკავშირდა ელფოსტით და შეახსენა კითხვარის შევსების შესახებ. გარდა ამისა, ორგანიზაციის სატელეფონო ოპერატორები ტელეფონითაც დაუკავშირდნენ სსო-ებს და დამატებით თხოვეს კითხვარის შევსება.

გამოკითხვის შედარებით მცირე მასშტაბის გამო, ქვეჯგუფებს შორის გამოვლენილი განსხვავებების ინტერპრეტაციისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ამის მიუხედავად, ანგარიშში განხილულია განსხვავებები თბილისში, სხვა ქალაქებსა და სასოფლო დასახლებებში მოქმედი სსო-ებს შორის და, სადაც არსებობს, ხაზგასმულია განსხვავებების სტატისტიკური მნიშვნელობა. ანგარიშში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია შეწონილია 2020 წლის ბოლოსთვის არსებული ინფლაციის დონის მიხედვით.

სადაც შესაძლებელია, ანგარიშში წარმოდგენილ ანალიზი ავლებს პარალელებს ზემოხსენებული, 2017 წელს ჩატარებული საბაზისო გამოკითხვის შედეგებთან.[24] 2017 წლის გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციებიდან 95 წინამდებარე კვლევაშიც ჩაერთო. შესაბამისად, ამ ორ გამოკითხვას შორის შედარება ორივე კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების მაჩვენებლებს ეყრდნობა.

წინამდებარე კვლევის შედეგების განზოგადება ქართული სსო-ების სრულ ერთობლიობაზე გამოწვევას წარმოადგენს იმ სირთულეების გათვალისწინებით, რაც ორგანიზაციებთან დაკავშირებასა და მათ მიერ კითხვარების შევსებას უკავშირდება. ამის მიუხედავად, ანგარიში გამოკითხულ ორგანიზაციებს ზოგადად „საქართველოში არსებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებად“ მოიხსენიებს, რაც მკითხველთათვის ტექსტის აღქმის გასამარტივებლადაა გაკეთებული.

[22] ევროკავშირის დელეგაცია 2018.

[23] ქართული სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის ინიციატივა, "პროექტის საბაზისო კვლევა" (თბილისი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2018).

[24] ქართული სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობის ინიციატივა.

მიგნებები

საქართველოს სსო-ების მართვის თავისებურებები

გეოგრაფიული განაწილება

გამოკითხული ორგანიზაციები საქართველოს ყველა რეგიონში არიან წარმოდგენილნი. მათი სათავო ოფისები საქართველოს მუნიციპალიტეტების უმეტესობაში მდებარეობს. ამავდროულად, თითქმის ნახევარს წარმომადგენელი რეგისტრაციის ადგილის მიღმა, სხვა დასახლებებშიც ჰყავს. უმეტესად, ორგანიზაციები საქმიანობას თბილისიდან და ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ახორციელებენ. მხოლოდ მათ მცირე ნაწილს აქვს სათავო ოფისი სოფლებში.

„CRRC-საქართველოს" მიერ გამოკითხული 249 ორგანიზაცია 46 საქალაქო და 25 სასოფლო ტიპის დასახლებაშია დარეგისტრირებული. მათი უმრავლესობა (221 ორგანიზაცია) ქალაქებშია დარეგისტრირებული და მხოლოდ 28 მათგანი - სოფლებში. რაც შეეხება კონკრეტულ დასახლებებს, დიდი ნაწილი (89) თბილისშია დარეგისტრირებული, შემდეგ ქუთაისში (21), ოზურგეთში (13), ახალციხესა და ზუგდიდში (10). რაც შეეხება სოფლებს, ესენია ენისელი, საყუნეთი და წეროვანი, სადაც ორ-ორი ორგანიზაციაა დარეგისტრირებული, სხვა სოფლებში - მხოლოდ თითო.

ორგანიზაციების ფაქტობრივი სათავო ოფისები მთელი საქართველოს მასშტაბით, 66 დასახლებაში მდებარეობს. უმრავლესობა (221) საქმიანობას ქალაქებიდან ახორციელებს და მხოლოდ მცირე ნაწილი (28) - სოფლებიდან. „CRRC-საქართველოს" მიერ გამოკითხული ორგანიზაციები ქვეყნის 47 სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან საქმიანობს: 89 მათგანი თბილისიდან, 21 ქუთაისიდან; 14 ოზურგეთის, 13 ახალციხის, 11 თელავისა და 10 ზუგდიდის მუნიციპალიტეტებიდან ოპერირებს.

გამოკითხული ორგანიზაციების 43%-ს წარმომადგენელი ჰყავს ან დამატებით ოფისი/სამუშაო სივრცე აქვს რეგისტრაციის ადგილის გარდა სხვა დასახლებულ პუნქტებშიც.



*დიაგრამა 3: საქართველოს რომელ რეგიონებში ახორციელებდა თქვენი ორგანიზაცია პროექტებს 2019 წლის იანვრიდან დღემდე? *გარდა ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ ტერიტორიებისა, რაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს საქართველოს ხელისუფლების ამჟამინდელი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიისაგან ჰყოფს.(%,რ-ნობა)*

გამოკითხული ორგანიზაციები პროექტებს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშ მყოფ ყველა რეგიონში ახორციელებდნენ (დიაგრამა 3). ორგანიზაციების ყველაზე დიდი რაოდენობა (64) იმერეთის რეგიონში საქმიანობდა. მას მოსდევს აჭარა (58). შედარებით ნაკლები რაოდენობა დასახელდა კახეთში (33) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (32). ორგანიზაციების ყველაზე მცირე რაოდენობა პროექტებს რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე დასახლებებში (8) ახორციელებდა.

მართვა

ადამიანური რესურსები

ორგანიზაციები უმეტესად მცირე ზომისაა. გამოკითხული ორგანიზაციების დაახლოებით ერთ მეხუთედს მხოლოდ 1 ან არცერთი მუდმივი თანამშრომელი ჰყავს. ქალები სსო-ებში კარგად არიან წარმოდგენილნი, განსაკუთრებით - თბილისის ორგანიზაციებში, ახალგაზრდები კი - შედარებით ნაკლებად არიან დასაქმებულები. თანამშრომელთა ყველაზე გავრცელებული ასაკობრივი ჯგუფი 26-დან 45 წლამდეა.

საშუალოდ, გამოკითხულ ორგანიზაციებს სრულ განაკვეთზე მომუშავე 8 და ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული 6 თანამშრომელი ჰყავთ. სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელთა მედიანური მაჩვენებელია 5, ნახევარ განაკვეთზე მომუშავეთა შემთხვევაში - 3. ორგანიზაციების დაახლოებით 17%-მა აღნიშნა, რომ სრულ განაკვეთზე მომუშავე მხოლოდ 1 ან არცერთი თანამშრომელი ჰყავს, ხოლო 20%-მა იგივე ნახევარ განაკვეთზე მომუშავეებთან დაკავშირებით მიუთითა.

ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობას საქართველოს დედაქალაქიდან ახორციელებენ, სრულ და ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული ყველაზე მეტი თანამშრომელი ჰყავთ. საშუალოდ, თბილისის სსო-ებში სრულ განაკვეთზე დასაქმებულია 11 და ნახევარ განაკვეთზე 7 თანამშრომელი (მედიანური მაჩვენებელი 6 სრულ განაკვეთზე დასაქმებულთათვის და 5 ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულთათვის). ის ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს სხვა ქალაქებიდან ახორციელებენ საქმიანობას, საშუალოდ, სრულ და ნახევარ განაკვეთზე 7 ადამიანს ასაქმებენ (მედიანა 4 და 3). სოფლებში სსო-ებს სრულ განაკვეთზე 4 და ნახევარ განაკვეთზე 5 თანამშრომელი ჰყავთ (მედიანა 2 და 3).

ქალი თანამშრომლები სრულ განაკვეთზე ორგანიზაციების 71%-ს (176) ჰყავს დასაქმებული, ნახევარ განაკვეთზე მათ 61%-ს (152). 69 ორგანიზაციას თბილისში, 91 სხვა ქალაქებში და 16 სოფლებში სრულ განაკვეთზე მომუშავე ქალი თანამშრომლები ჰყავს. რაც შეეხება ქალი თანამშრომლების ნახევარ განაკვეთზე დასაქმებას, 96 სსო-ს თბილისში, 81 ორგანიზაციას სხვა ქალაქებში და 15 ორგანიზაციას სოფლებში ნახევარ განაკვეთზე ქალები ჰყავს დასაქმებული.

თბილისის სსო-ებს ქალი თანამშრომლების ყველაზე დიდი რაოდენობა ჰყავთ, როგორც სრულ, ასევე ნახევარ განაკვეთზე. საშუალოდ, ესაა 9 ქალი თანამშრომელი სრულ განაკვეთზე (მედიანა 5) და 5 ქალი თანამშრომელი ნახევარ განაკვეთზე (მედიანა 3). რაც შეეხება სსო-ებს სხვა ქალაქებში, ისინი საშუალოდ 4 ქალს ასაქმებენ სრულ განაკვეთზე (მედიანა 3) და ასევე

ოთხს ნახევარ განაკვეთზე (მედიანა 3). სოფლებში ორგანიზაციებში საშუალოდ ოთხი ქალი თანამშრომელი ჰყავთ სრულ განაკვეთზე (მედიანა 2) და სამი – ნახევარ განაკვეთზე (მედიანა 3).

გამოკითხული ორგანიზაციების მხოლოდ ერთ მესამედს ჰყავს ახალგაზრდა თანამშრომლები: 86-მა ორგანიზაციამ მიუთითა, რომ 25 წლის ან ნაკლები ასაკის თანამშრომელი ჰყავთ. ორგანიზაციების ორ მესამედში ყავთ თანამშრომლები, რომელთა ასაკი 26-დან 45-მდე მერყეობს. გამოკითხული ორგანიზაციების 57%-ს ჰყავს 46 წლის და მეტი ასაკის თანამშრომლები.

თბილისის ორგანიზაციების დაახლოებით ნახევარს (44%, 38 ორგანიზაცია) ახალგაზრდა, 25 წლის და უფრო უმცროსი თანამშრომლები ჰყავს. ეს მაჩვენებლები ნაკლებია სხვა ქალაქებში (32%, 44 ორგანიზაცია) და სოფლებში (14%, ოთხი ორგანიზაცია). თბილისის ორგანიზაციების დაახლოებით სამ მეოთხედს ჰყავს 26-დან 45 წლამდე თანამშრომელი (72%, 62 ორგანიზაცია). სხვა ქალაქებში ორგანიზაციების ორ მესამედზე მეტს ჰყავს ამ ასაკობრივი ჯგუფის თანამშრომლები (69%, 93 ორგანიზაცია), სოფლებში კი ნახევარზე მეტს (54%, 15 ორგანიზაცია). რაც შეეხება 46 წლის და უფრო მეტი ასაკის თანამშრომლებს, ისინი თბილისის ორგანიზაციების 61%-ში (53 ორგანიზაცია), სხვა ქალაქების ორგანიზაციების 57%-ში (77 ორგანიზაცია) და სოფლების ორგანიზაციების 43%-ში (12 ორგანიზაცია) არიან წარმოდგენილნი.

თბილისის სსო-ებში სრულ განაკვეთზე დასაქმებულ 25 წლის ან ნაკლები ასაკის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობაა 2, თბილისს გარეთ კი ორგანიზაციებს საშუალოდ ამ ასაკის 1 თანამშრომელი ჰყავთ. მომდევნო ასაკობრივი კატეგორიის (26-45) თანამშრომელთა რაოდენობა თბილისის სსო-ებში არის 6 (მედიანა 4), იმ ორგანიზაციებში კი, რომლებიც საქმიანობას საქართველოს სხვა ქალაქებიდან ახორციელებს – 4 (მედიანა 2), სოფლებში – 3 (მედიანა 2). რაც შეეხება 46 და მეტი ასაკის თანამშრომლებს, თბილისის სსო-ებში, საშუალოდ, 5 ასეთი თანამშრომელია (მედიანა 2), სხვა ქალაქებსა და სოფლებში – 3 (მედიანა 2 და 1, შესაბამისად).

მოხალისეები

ორგანიზაციების ნახევარზე ოდნავ მეტი საკუთარი პროექტების განხორციელებაში მოხალისეებს რთავს, მეტწილად – ახალგაზრდებსა და ქალებს. თბილისს გარეთ მოქმედ ორგანიზაციებს პროპორციულად უფრო მეტი მოხალისე ჰყავთ ჩართული საქმიანობაში, ვიდრე თბილისის სსო-ებს. ორგანიზაციების მცირე რაოდენობას, ისიც უმეტესად თბილისსა და სხვა ქალაქებში, უცხოელი მოხალისეები ჰყავთ.

2019 წელს, გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესობა (55%, 139) პროექტებს მოხალისეების ჩართულობით ახორციელებდა. თბილისის ორგანიზაციების 42%-ს (36 ორგანიზაცია), სხვა ქალაქებში მოქმედი ორგანიზაციების 63%-ს (86 ორგანიზაცია) და სოფლის ორგანიზაციების დაახლოებით ორ მესამედს (61%, 17 ორგანიზაცია) თავის საქმიანობაში მოხალისეები ჰყავდა ჩართული.

იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათი პროექტების განხორციელებაში მოხალისეებიც მონაწილეობდნენ, საშუალოდ 19 მოხალისე ჰყავდათ ჩართული (მედიანა 7,5). საშუალოდ, თბილისის სსო–ებს პროექტების განხორციელებაში 14 მოხალისე ჰყავდათ ჩართული (მედიანა 5,5), სხვა ქალაქებში მოქმედ ორგანიზაციებს – 18 მოხალისე (მედიანა 7). სოფლის სსო–ებს მოხალისეთა ყველაზე დიდი რაოდენობა ჰყავდათ თავის საქმიანობაში ჩართული, საშუალოდ, 34 (მედიანა 20).

გამოკითხული ორგანიზაციების თითქმის ნახევარს საკუთარ პროექტებში ქალი მოხალისეები ჰყავდა ჩართული (49%, 123 ორგანიზაცია). საშუალოდ, ქალი მოხალისეების რიცხვი 14–ს უდრიდა (მედიანა 6). სოფლის სსო–ებს უფრო მეტი ქალი მოხალისე ჰყავდათ პროექტებში ჩართული, ვიდრე თბილისსა და სხვა ქალაქებში მოქმედ ორგანიზაციებს. სოფლებში, ორგანიზაციები საშუალოდ 27 ქალ მოხალისეს რთავდნენ პროექტებში (მედიანა 8.5), თბილისის ორგანიზაციები 13 ქალ მოხალისეს (მედიანა 3.5), სხვა ქალაქებში მოქმედი ორგანიზაციები კი – 11 ქალ მოხალისეს (მედიანა 5).

გამოკითხული ორგანიზაციები უმეტესად ახალგაზრდა მოხალისეებთან მუშაობდნენ. მოხალისეთა საშუალო ასაკი 25 წელი იყო (მედიანა 24). თბილისში, ორგანიზაციების პროექტებში ჩართულ მოხალისეთა საშუალო ასაკი 26 წელი იყო (მედიანა 25), სხვა ქალაქებში – 25 წელი (მედიანა 24). სოფლებში ორგანიზაციები მოხალისეთა ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფებთან მუშაობდნენ, მაში საშუალო ასაკი 21 წელი იყო (მედიანა 17).

მხოლოდ 36 სსო–მ აღნიშნა, რომ პროექტებში უცხოელი მოხალისეები ჰყავდა ჩართული (14%). თბილისის ორგანიზაციებიდან ათმა (12%), სხვა ქალაქების ორგანიზაციებიდან 23–მა (17%) და სულ 3–მა სოფლებში მოქმედმა ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ უცხოელი მოხალისეები ჰყავდათ. გამოკითხული ორგანიზაციების პროექტებში ჩართული უცხოელი მოხალისეების საშუალო რიცხვი იყო 1.

სტატუსი

გამოკითხული ორგანიზაციების ნახევარზე მეტი (53%, 132 ორგანიზაცია) საკუთარ თავს სათემო ორგანიზაციად განიხილავს. სათემო ორგანიზაციები ნაკლებად არიან წარმოდგენილი თბილისის სსო–ებს შორის. იქ მხოლოდ ორგანიზაციების ერთი მესამედი (34%) ასახელებს საკუთარ თავს სათემო ორგანიზაციად. სხვა ქალაქებში მოქმედი ორგანიზაციების 57% და სოფლებში მოქმედი ორგანიზაციების 86% საკუთარ თავს სათემო ორგანიზაციად მიიჩნევს.

რაც შეეხება საქველმოქმედო სტატუსს, იგი მთელი შერჩევის მხოლოდ 11%–ს – სულ რაღაც 29 ორგანიზაციას აქვს. ამ სტატუსის მქონე 12 ორგანიზაცია თბილისში მდებარეობს. 10 ასეთი ორგანიზაცია საქმიანობას სხვა ქალაქებიდან ახორციელებს, 7 მათგანი კი – სოფლებიდან. საქველმოქმედო სტატუსის მქონე ორგანიზაციების სიმცირე შეიძლება, მიეწეროს ადმინისტრაციულ, განსაკუთრებით საგადასახადო ტვირთს, რაც ამ სტატუსით საქმიანობის განხორციელებას ეხება.

საქმიანობის თემატიკა

გამოკითხული ორგანიზაციები მრავალფეროვან საკითხებზე მუშაობენ, დაწყებული გარემოს დაცვით, დასრულებული მართლმსაჯულების რეფორმებისა და სახელმწიფო პოლიტიკის მონიტორინგით. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციების უმრავლესობა ჩართულია პროექტებში, რომლებიც შედარებით ფართო საკითხებს ეხება, მაგალითად, ახალგაზრდულ პოლიტიკას, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასა და ადამიანის უფლებებს, ორგანიზაციების მნიშვნელოვან ნაწილს შედარებით უფრო ვიწრო სპეციალიზაცია აქვს და კონცენტრირებულია, მაგალითად, პროფესიულ განათლებაზე, კარგი მმართველობის საკითხებსა და სოციალურ მეწარმეობაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, ორგანიზაციების უმრავლესობა (125) ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობდა (დიაგრამა 4). ასზე მეტმა ორგანიზაციამ (119) აღნიშნა, რომ მუშაობდა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თემაზე. ამას მოსდევს 87 ორგანიზაცია, რომელიც ადამიანის უფლებებზე და 80 ორგანიზაცია, რომელიც გარემოს დაცვის საკითხებზე აკეთებდა ფოკუსირებას.



დიაგრამა 4: 2019 წლის იანვრიდან დღემდე, რომელ საკითხებზე მუშაობდა/მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? (%, რ-ნობა)

62 ორგანიზაცია ყურადღებას გენდერულ საკითხებსა და ქალთა უფლებებზე აკეთებდა, 55 ტურიზმის განვითარებასა და პროფესიულ განათლებაზე მუშაობდა, 52 – კარგი მმართველობისა და ჯანდაცვის საკითხებზე, ხოლო 51 – სოფლის განვითარების საკითხებზე. 50 ორგანიზაციამ მიუთითა, რომ მათი განხორციელებული პროექტები მეწარმეობას უკავშირდებოდა.

შედარებით ნაკლები ორგანიზაციის ფოკუსს წარმოადგენდა: უმცირესობათა უფლებები (47 ორგანიზაცია), სოფლის მეურნეობა (41), სოციალური დაცვა (39), დევნილთა საკითხები და არჩევნები (33-33). 30 ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ მუშაობდა ან მუშაობს კონფლიქტის მოგვარების თემაზე და კიდევ უფრო ნაკლებმა ორგანიზაციამ მიუთითა, რომ DCFTA/AA

პროცესების მონიტორინგზე (26), მედიაზე (25), კულტურასა და საკვების უსაფრთხოებაზე (22) და საჯარო ფინანსების (17) თემაზე იყო კონცენტრირებული. თბილისში, სხვა ქალაქებსა და სოფლებში მოქმედ სსო-ებს შორის ძალიან მცირე ან არანაირი განსხვავება იყო თემატური არეალის მხრივ.

აღსანიშნავია, რომ „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" მიერ შედგენილი მონაცემთა ბაზა[25] მსგავს სურათს აჩვენებს, იმის მიუხედავად, რომ მათ ორგანიზაციების საქმიანობის კლასიფიცირებისათვის უფრო ფართო თემატური სქემა გამოიყენეს (დიაგრამა 5). ორგანიზაციების უმეტესობა, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბაზაში, განათლებასთან (40%, 523 ორგანიზაცია), ახალგაზრდულ პოლიტიკასთან (32%, 418) და ადამიანის უფლებებთან (27%, 325) დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობდა.



დიაგრამა 5: ქართული ორგანიზაციების საქმიანობის თემატური არეალი (წყარო: „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი", %, რ-ნობა)

ზოგადად, სსო-ები ცდილობენ საქმიანობის თემატურ გამრავალფეროვნებას. საშუალოდ, ორგანიზაციები ხუთ სხვადასხვა თემაზე მუშაობდნენ. თბილისის ორგანიზაციებმა დაასახელეს ამაზე ნაკლები რიცხვი (საშუალო 4.7, მედიანა 4), სხვა ქალაქებსა და სოფლებში მოქმედმა ორგანიზაციებმა საშუალოდ 5.3 თემა (მედიანა 4 და 5, შესაბამისად).

ურთიერთობები ბენეფიციარებთან

სსო-ების უმრავლესობა საკუთარ აუდიტორიასთან კონსულტაციებს გადის. ასეთი კონსულტაციები ეწყობა კონკრეტული პროექტების დაგეგმვისა და ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრის დროს.

[25] CSO Georgia, 'მთავარი გვერდი'.

გამოკითხული ორგანიზაციების 89%-მა (223 ორგანიზაცია) მიუთითა, რომ ჰქონიათ შეხვედრები საკუთარ აუდიტორიასთან. უმრავლესობამ (72%, 180 ორგანიზაცია) ასეთი შეხვედრა პროექტების შემუშავების ეტაპზე მოაწყო. ორმა მესამედმა (170 ორგანიზაცია) თემთან/ხალხთან კონსულტაცია ორგანიზაციის სტრატეგიასთან დაკავშირებით გაიარა. ორგანიზაციების 61% (153) საზოგადოებას მათივე თხოვნის შესაბამისად შეხვდა, 55%-მა (137 ორგანიზაცია) კი შეხვედრა მათი ინტერვენციის გავლენის შესაფასებლად, საკუთარი ინიციატივით მოაწყო (დიაგრამა 6)**Error! Reference source not found.**.



დიაგრამა 6: ბოლო სამი წლის შესახებ თუ იფიქრებთ, გქონდათ თუ არა შეხვედრები ხალხთან ან თქვენი ორგანიზაციის ბენეფიციარებთან შემდეგი მიზნებისთვის? (%, რ-ნობა)

გეოგრაფიულ განაწილებას თუ შევხედავთ, საკუთარი სტრატეგიის შემუშავების მიზნით აუდიტორიასთან შეხვედრები გამართა თბილისის ორგანიზაციების 69% (59 ორგანიზაცია), სხვა ქალაქებში მოქმედი ორგანიზაციების 67% (92 ორგანიზაცია) და სოფლებში მოქმედი ორგანიზაციების 68% (19 ორგანიზაცია).

პროექტის შემუშავების ეტაპზესაზოგადოებას დედაქალაქის ორგანიზაციების 72% (61 ორგანიზაცია) შეხვდა. სხვა ქალაქების ორგანიზაციების დაახლოებით იგივე წილი (73%, 100 ორგანიზაცია) გადიოდა კონსულტაციას, ხოლო სოფლებში ორგანიზაციების ორმა მესამედმა (68%, 19 ორგანიზაცია) მოაწყო შეხვედრა ამ მიზნით.

საკუთარი ინტერვენციების გავლენის შესაფასებლად თბილისის ორგანიზაციების ორ მესამედზე ნაკლები (54) შეხვდა აუდიტორიას. იმავე მიზნით აუდიტორიას სხვა ქალაქებში მოქმედი ორგანიზაციების ნახევარზე მეტი (53%, 72 ორგანიზაცია), ხოლო სოფლებში მოქმედი ორგანიზაციების 39% (11 ორგანიზაცია) შეხვდა.

ბენეფიციარებს და საზოგადოებას მათივე თხოვნით შეხვდა თბილისში მოქმედი ორგანიზაციების 59% (50 ორგანიზაცია). სხვა ქალაქებში ასეთი შეხვედრები ორგანიზაციების 67%-მა (89 ორგანიზაცია) და სოფლებში ორგანიზაციების 50%-მა (14 ორგანიზაცია) მოაწყო.

ანგარიშგება

ყოველწლიური საქმიანობისა და ფინანსური ანგარიშების შედგენისა და გამოქვეყნების თვალსაზრისით, ქართული ორგანიზაციები მოწოდების სიმაღლეზე არ არიან. ეს გამოწვევას წარმოადგენს როგორც გამჭვირვალობისთვის, ასევე ბენეფიციარებთან ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით.

ორგანიზაციების მცირე ნაწილმა მიუთითა, რომ საქმიანობის წლიურ ანგარიშებს აქვეყნებს. გამოკითხული ორგანიზაციების მხოლოდ ერთმა მესამედმა (34%, 84 ორგანიზაცია) აღნიშნა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოუქვეყნებია ასეთი ანგარიში. თბილისში ორგანიზაციების შედარებით მეტ ნაწილს (39%, 33 ორგანიზაცია) გამოუქვეყნებია საქმიანობის წლიური ანგარიში, ვიდრე სხვა ქალაქებსა (31%, 42 ორგანიზაცია) და სოფლებში (32%, 9 ორგანიზაცია).

ორგანიზაციები საქმიანობის წლიურ ანგარიშებს უმეტესად ელექტრონულ ფორმატში აკეთებენ (ორგანიზაციების 24%, სულ 60 ორგანიზაცია). ორგანიზაციების მცირე ნაწილი (15%, რაც ყველა გამოკითხული ორგანიზაციის 37%-ს წარმოადგენს) ბეჭდურ ფორმატს ირჩევს. გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, ბეჭდური ფორმატის გამოყენების მხრივ დიდი სხვაობა არ ფიქსირდება (ორგანიზაციების 13-დან 16%-მდე). თბილისის ორგანიზაციები წლიურ ანგარიშებს უმეტესად ელექტრონულად აქვეყნებენ (33%, 28 ორგანიზაცია), განსხვავებით სხვა ქალაქებში (21%, 28 ორგანიზაცია) და სოფლებში (14%, ოთხი ორგანიზაცია) მოქმედი ორგანიზაციებისგან.

საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშების მსგავსად, ორგანიზაციების მცირე ნაწილი აქვეყნებს წლიურ ფინანსურ ანგარიშებს. გამოკითხული ორგანიზაციების სამ მეოთხედზე მეტმა (77%, 191 ორგანიზაცია) მიუთითა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში წლიური ფინანსური ანგარიში არ გამოუქვეყნებია. თბილისში ორგანიზაციების მხოლოდ 31%-ს (26 ორგანიზაცია), სხვა ქალაქებში 20%-სა (27 ორგანიზაცია) და სოფლებში ორგანიზაციების 21%-ს (4 ორგანიზაცია) გამოუქვეყნებია ყოველწლიური ფინანსური ანგარიში ბოლო სამი წლის განმავლობაში.

ორგანიზაციების 18%-მა ფინანსური ანგარიშები ელექტრონული ფორმატით გამოქვეყნა, 8%-მა კი – ბეჭდურად. თბილისში ორგანიზაციების მეტი ნაწილი იყენებს ელექტრონულ ფორმატს (28%, 24 ორგანიზაცია), ვიდრე სხვა ქალაქებსა (13%, 17 ორგანიზაცია) და სოფლებში (11%, სამი ორგანიზაცია). რაც შეეხება ბეჭდურ ფორმატს, ბოლო სამი წლის განმავლობაში თბილისში ხუთმა სსო-მ გამოაქვეყნა ფინანსური ანგარიში ბეჭდური სახით, სხვა ქალაქებში – ცამეტმა და სოფლებში – სამმა ორგანიზაციამ.

კომუნიკაციის არხები

სსო-ები საზოგადოებასთან და საკუთარ ბენეფიციარებთან კომუნიკაციისთვის უმეტესად ინტერნეტს იყენებენ. უმრავლესობა სწორედ ონლაინ-სივრცეს მიიჩნევს ამ მხრივ ყველაზე სასარგებლოდ. გამოკითხული ორგანიზაციები კომუნიკაციის უმთავრეს არხად სოციალურ მედიას, განსაკუთრებით Facebook-ის გვერდებსა და ასევე ვებგვერდს იყენებს.

გამოკითხული ორგანიზაციების უმრავლესობამ (74%, 184 ორგანიზაცია) აღნიშნა, რომ კომუნიკაციის ან ინფორმაციის გავრცელების სტრატეგია გააჩნია. საყურადღებოა, რომ ორგანიზაციების უმრავლესობამ ყველა გეოგრაფიულ არეალში მეტნაკლებად მსგავსი პასუხი დააფიქსირა. თბილისში ორგანიზაციების 72%-მა აღნიშნა, რომ კომუნიკაციის სტრატეგია აქვს, სხვა ქალაქებში - 77%-მა და სოფლებში ორგანიზაციების 64%-მა.



დიაგრამა 7: ორგანიზაციების მიერ გამოყენებული კომუნიკაციის არხები (%, რ-ნობა. რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის მონიშვნის შესაძლებლობა ჰქონდათ)

გამოკითხული ორგანიზაციების დაახლოებით ნახევარს (49%, 122 ორგანიზაცია) აქვს ვებგვერდი (იხ. დიაგრამა 7). ამ მხრივ სტატისტიკურად მნიშვნელოვანია განსხვავება იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც საქმიანობას თბილისიდან და რეგიონებიდან ახორციელებენ. თბილისის ორგანიზაციების დაახლოებით სამ მეოთხედს (74%, 63 ორგანიზაცია) ვებგვერდი აქვს მაშინ, როცა ვებგვერდის ქონის მაჩვენებელი სხვა ქალაქების სსო-ებში 39% (54 ორგანიზაცია) და სოფლებში - 18%-ია (5 ორგანიზაცია).

გამოკითხული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა, დაახლოებით 84%, სოციალურ მედიაშია წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია, რომ სოციალურ მედიაში გვერდის ქონა დაადასტურეს ორგანიზაციებმა მთელი საქართველოს მასშტაბით. სოციალურ მედიაში საკუთარი გვერდი თბილისის ორგანიზაციების დაახლოებით 84%-ს (71 ორგანიზაცია), სხვა ქალაქების ორგანიზაციების 85%-ს (117 ორგანიზაცია) და სოფლებში ორგანიზაციების 79%-ს (22 ორგანიზაცია) აქვს.

ორგანიზაციების უმრავლესობას (84%) „ფეისბუქის“ გვერდი აქვს. გაცილებით ნაკლები ორგანიზაცია იყენებს „ტვიტერს“ (6%, 16 ორგანიზაცია), „ლინკდინსა“ (6%, 14 ორგანიზაცია) და „ინსტაგრამს“ (11%, 28 ორგანიზაცია).

გამოკითხული ორგანიზაციების დაახლოებით 65% (165 ორგანიზაცია) სოციალურ მედიას საზოგადოებასთან დასაკავშირებლად კვირაში ერთხელ მაინც იყენებს. დაახლოებით 22% (56 ორგანიზაცია) საკუთარ ბენეფიციარებთან და ხალხთან ყოველდღიურ კომუნიკაციას აწარმოებს ამ გზით. ორგანიზაციების დაახლოებით ერთი მესამედი (34%, 86 ორგანიზაცია) ამას კვირაში რამდენჯერმე, მაგრამ არა ყოველდღიურად აკეთებს, ხოლო ორგანიზაციების 10% (25 ორგანიზაცია) სოციალური მედიით კომუნიკაციას კვირაში ერთხელ ახდენს.



დიაგრამა 8: საქართველოს მოქალაქეებს შორის თქვენი ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების რომელი საშუალებაა ყველაზე ეფექტური? (%, რ-ნობა)

ქვეყნის მასშტაბით და ყველა გეოგრაფიულ არეალში ორგანიზაციების უმრავლესობას მოქალაქეებში მათი ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ყველაზე ეფექტურ საშუალებად სოციალური ქსელები მიაჩნია (დიაგრამა 8). გამოკითხული ორგანიზაციების 79%, მათ შორის, თბილისის ორგანიზაციების 78%, სხვა ქალაქების ორგანიზაციების 81% და სოფლების ორგანიზაციების 71% მიიჩნევს, რომ სოციალური ქსელები მათ საკუთარი ორგანიზაციისა და მისი საქმიანობის შესახებ საზოგადოებასთან ეფექტურ კომუნიკაციაში ეხმარება.

ორგანიზაციების დაახლოებით ნახევარი (49%) თვლის, რომ საჯარო შეხვედრები კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა. საინტერესოა, რომ ამ მოსაზრებას ყველაზე მეტად სოფლებში აფიქსირებენ. სოფლებში ორგანიზაციების 64%-ს მიაჩნია, რომ საჯარო შეხვედრები საზოგადოებასთან კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური გზაა მაშინ, როცა სხვა ქალაქებში ორგანიზაციების 56% და თბილისში ორგანიზაციების 34% ამბობს იმავეს. ორგანიზაციების ნაკლები წილი ამბობს, რომ ტელევიზია/ტელეგადაცემები სასარგებლო საშუალებაა ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის. ქვეყნის მასშტაბით ეს წილი 27%-ია, თბილისში - 36%, სხვა ქალაქებში - 23% და სოფლებში - 21%. საქართველოს მოქალაქეებთან ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ კომუნიკაციის ეფექტურ საშუალებად გამოკითხული ორგანიზაციების 20%-ზე ნაკლებმა დაასახელა ორგანიზაციის ვებგვერდი, გაზეთები და კომუნიკაციის სხვა გზები.

ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობა

ფინანსური ბრუნვის მოცულობა

კორონავირუსის პანდემიამდე, სსო-ების ჯამური ბრუნვა იზრდებოდა. ამის მიუხედავად, თბილისსა და მის გარეთ მოქმედ ორგანიზაციებს შორის ცალსახა იყო სხვაობა.

გამოკითხულმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ ფინანსურმა ბრუნვამ 2019 ფისკალურ წელს 65 მლნ. ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ ორგანიზაციათა მხოლოდ სამმა მეოთხედმა უპასუხა კითხვას წლიურ ბრუნვასთან დაკავშირებით. აღნიშნული ჯამური რაოდენობა 16,7 მლნ. ლარით გაიზარდა 2018 წელთან შედარებით, როდესაც წლიურ ბრუნვად 48 მლნ. ლარი დასახელდა.[26]

აღსანიშნავია, რომ სსო-ების ფინანსური ბრუნვის ლომის წილი თბილისში მოქმედ ორგანიზაციებზე მოდის. 2019 წელს, საერთო ფინანსური ბრუნვის სამი მეოთხედი (49 მლნ. ლარი) თბილისში მდებარე სსო-ებზე მოდიოდა, სრული ბრუნვის მეოთხედზე ნაკლები (24,4%, 16 მლნ. ლარი) – სხვა ქალაქების ორგანიზაციებზე, ხოლო ბრუნვის მხოლოდ 1% – სოფელში განთავსებულ სსო-ებზე (384 ათასი ლარი).

2018 წელს, თბილისში არსებულ ორგანიზაციებს 36 მლნ. ლარის ბრუნვა ჰქონდათ, რაც იმავე წლის სრული ბრუნვის 74,4% იყო. სხვა ქალაქების ორგანიზაციების იგივე მაჩვენებელი 25,1% (12 მლნ ლარი) იყო, ხოლო სოფლებში არსებული ორგანიზაციების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 251 ათას ლარს შეადგენდა, რაც სრული ბრუნვის მხოლოდ 0,5% იყო.

2018 წელთან შედარებით, სსო-ების მთლიანი ბრუნვა 2019 წელს 16,7 მლნ ლარით გაიზარდა (16,2 მლნ. ლარი ინფლაციის გათვალისწინებით), რაც 35%-იანი ზრდაა. თბილისში მოქმედი ორგანიზაციების ბრუნვა 12,8 მილიონით გაიზარდა (36%, 12,5-მილიონიანი ზრდა 2018 წლის კურსით). სხვა ქალაქებში ორგანიზაციების ბრუნვა ინფლაციის გათვალისწინებით 31%-ით (3,8 მლნ. ლარის 2019 წლის კურსით, 3,7 მლნ ლარი 2018 წლის კურსის მიხედვით), ხოლო სოფლის ტიპის დასახლებების ორგანიზაციათა ბრუნვა 50%-ით გაიზარდა, რაც 2019 წლის ფასებში 133 ათას, ხოლო ინფლაციის გათვალისწინებით – 130 ათას ლარს შეადგენს.

სსო-ების საშუალო წლიური ბრუნვა 2019 წელს 427 ათასი ლარი იყო (მედიანა – 77 ათასი ლარი). თბილისში მოქმედი ორგანიზაციების მედიანური ბრუნვა 2019 წელს 288 ათას ლარს, საშუალოდ კი – 900 ათას ლარს აღწევდა. ასეთი სხვაობა საშუალო მაჩვენებელსა და მედიანას შორის მიუთითებს იმაზე, რომ ფულადი სახსრები დიდ ორგანიზაციებშია აკუმულირებული. თბილისს გარეთ ორგანიზაციებს მნიშვნელოვნად ნაკლები ბრუნვა ჰქონდათ. სხვა ქალაქებში ორგანიზაციების წლიური ბრუნვის მედიანა 2019 წელს 60 ათასი ლარია, ხოლო სოფლებში ეს მაჩვენებელი 10 ათას ლარს უტოლდება.

საშუალოდ, 2018-2019 წლებში 2016-2017 წლებთან შედარებით, უშუალოდ იმ ორგანიზაციების მთლიანი ბრუნვა, რომლებიც მონაწილეობდნენ როგორც 2017 წელს „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, ასევე – წინამდებარე კვლევაში, 24 მლნ. ლარით გაიზარდა. ამ პერიოდში, თითოეულ

[26] CSSIGE 2018.

ორგანიზაციაზე გაანგარიშებით, საშუალო ზრდა 363 ათას ლარს შეადგენდა. ოცდაექვსმა ორგანიზაციამ თავისი ბრუნვა 2019 წლის ფასების მიხედვით დაახლოებით 14,3 მლნ ლარით გაზარდა (საშუალოდ 0,5 მლნ ლარი ზრდა თითოზე). ოცდაშვიდი ორგანიზაციის შემთხვევაში, ბრუნვა ჯამში 4,9 მლნ ლარით შემცირდა (საშუალოდ 180 ათასი ლარი კლება). სამმა სსო-მ განაცხადა, რომ მათი შემოსავალი არ შეცლილა.

დაფინანსების წყაროები

სსო-ები უმთავრესად საერთაშორისო დონორებზე არიან დამოკიდებულნი, რამდენადაც საშუალოდ, დაფინანსების ნახევარს სწორედ ამ წყაროდან იღებენ. გამოკითხული ორგანიზაციები დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნების თვალსაზრისით საკმაოდ რთულ მდგომარეობაში არიან, რადგან თითოეულ შესწავლილ ორგანიზაციას დაფინანსების საშუალოდ მხოლოდ ერთი წყარო აქვს.



დიაგრამა 9: რა იყო თქვენი ორგანიზაციის დაფინანსების წყარო? (%, რ-ნობა, რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, რამდენიმე პასუხი ამოერჩიათ)

საერთო ჯამში, გამოკითხულ ორგანიზაციათა უმრავლესობამ (73%) განაცხადა, რომ 2019 წელს დაფინანსების წყარო გააჩნდათ. გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (131 სსო, 53%, დიაგრამა 10) გრანტი საერთაშორისო დონორისგან მიიღო. დაახლოებით ერთმა მეოთხედმა გრანტი მიიღო სხვა ადგილობრივი ორგანიზაციისგან(60 დაწესებულება).[27] გამოკითხული ორგანიზაციების ერთმა მეხუთედმა განაცხადა, რომ მათი ფინანსების წყარო ეკონომიკური საქმიანობა იყო (50 დაწესებულება). 17%-ს ჰქონდა სახელმწიფო დაფინანსება (43 დაწესებულება), 16%-მა ფიზიკური პირებისგან შემოწირულობების გზით მიიღო დაფინანსება (40 დაწესებულება). შედარებით ნაკლებმა თანხა ბიზნესისგან მიიღო (10%, 25 სსო).

[27] აღსანიშნავია, რომ ქართული სსო-ებისგან მიღებული დაფინანსება, ხშირად საერთაშორისო დონორებისგან წამოსული გრანტის ქვე-გრანტია.

რამდენიმე ორგანიზაციას ჰქონდა შემდეგი დაფინანსების წყარო: საწევრო (23 სსო, 9%), თანხის მასობრივი მობილიზების მექანიზმი, ე.წ. „ქრაუდფანდინგი“ (11 სსო, 5%) და სათემო ფონდი (3 სსო, 1%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ ორგანიზაციებს შეიძლება ერთდროულად რამდენიმე წყაროთი ესარგებლა.

გამოკითხულ ორგანიზაციებს ასევე ვკითხეთ 2018 წელს არსებული შემოსავლის წყაროების შესახებაც (დიაგრამა 10). გამოკითხული ორგანიზაციების ორმა მესამედმა განაცხადა, რომ 2018 წელს დაფინანსების მხოლოდ ერთი წყარო გააჩნდათ. გამოკითხული ორგანიზაციების საკმაოდ დიდმა ოდენობამ (119 სსო, 48%) დაფინანსება საერთაშორისო დონორისგან მიიღო, მაშინ როცა დაახლოებით ერთი მეხუთედისთვის (20%, 50 დაწესებულება) გრანტების წყარო ადგილობრივი ქართული ორგანიზაციები იყო. შედარებით ნაკლებმა (17%, 43 დაწესებულება) განაცხადა, რომ შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან მიიღეს, 15% (38 დაწესებულება) მთავრობამ დააფინანსა, 12%-მა შემოწირულობა ფიზიკური პირისგან მიიღო (30 დაწესებულება), 9%-ს კი ხელი ბიზნესმა გაუმართა (24 დაწესებულება). ძალიან მცირე იყო იმ ორგანიზაციების წილი, რომლებიც დაფინანსების სხვა წყარო დაასახელა.

საშუალოდ, 2019 წელს, გამოკითხულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გრანტი 1,8 დონორისგან მიიღეს. თბილისში არსებულ სსო-ებს საშუალოდ მეტი დონორი ჰყავდათ, ვიდრე მის გარეთ. თბილისში სსო-ებმა 2,7 წყაროსგან (მედიანა 2) მიიღეს დაფინანსება, სხვა ქალაქებსა და სოფლებში ეს რიცხვი დაახლოებით 1,4 (მედიანა 1) იყო.

მიუხედავად ამისა, სურათი ოდნავ განსხვავდება ორგანიზაციების შემთხვევაში, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს როგორც 2017 წელს ჩატარებულ გამოკითხვაში, აგრეთვე მიმდინარე კვლევაშიც. ასეთ ორგანიზაციებს (95 დაწესებულება) ნაკლები დონორი ჰყავდათ 2019 წელს, ვიდრე 2016-ში. თითოეულ ორგანიზაციაზე დონორების საშუალო რიცხვი 1,2-ით შემცირდა. ოც ორგანიზაციას გაეზარდა დონორების რაოდენობა, საშუალოდ 2,1-ით. 21 სსო-სთვის არაფერი შეცვლილა; 30 ორგანიზაციას კი 4,3 ერთეულით შეუმცირდა.



დიაგრამა 10: დასახელებული შემოსავლის წყაროების საშუალო წილი (%)

იმ გამოკითხული ორგანიზაციებისთვის, რომლებმაც შემოსავლის ერთი წყარო მაინც დაასახელეს, საერთაშორისო დონორებისგან მიღებული გრანტები 2019 წელს მიღებული შემოსავლების დაახლოებით 53% იყო. ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტები ორგანიზაციების საერთო შემოსავლის წყაროს დაახლოებით 12%-ს შეადგენდა. ბიზნესის მიერ გაცემული დაფინანსება სრულად მიღებული დაფინანსების საშუალოდ 9%-ია, ხოლო იგივე მაჩვენებელი საწევროების შემთხვევაში 4%-ს შეადგენდა. შემოწირულობები, ეკონომიკური აქტივობიდან შემოსავალი, ქრაუდფანდინგი და სათემო ფონდები სსო-ების მიერ მიღებული დაფინანსების საშუალოდ 2%-ზე ნაკლებს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის სიტუაცია 2018 წლის ანალოგიური იყო.

მონაწილე ორგანიზაციებს ვკითხეთ, გამოუყენებიათ თუ არა თანხის მასობრივი მობილიზების მექანიზმი, ე.წ. ქრაუდფანდინგი 2019 წელს. მხოლოდ 15-მა მათგანმა (6%) განაცხადა ასეთი მექანიზმის გამოყენების შესახებ. მსგავსი ფორმით ორმა ორგანიზაციამ 200 ლარზე ნაკლები, შვიდმა 200-დან 1000 ლარამდე, ხოლო ხუთმა 1000 ლარზე მეტი შემოსავალი მიიღო, ერთმა - უარი განაცხადა თანხის მოცულობის დასახელებაზე.

2019 წელს, გამოკითხული ორგანიზაციების ერთმა მეხუთედმა (20%, 50 დაწესებულება) მონაწილეობა მიიღო დამატებით ეკონომიკურ აქტივობაში. მათ, ვინც აღნიშნულის შესახებ განაცხადა, ვკითხეთ, ახორციელებდნენ თუ არა ისინი სოციალური მეწარმეობის რომელიმე ფორმას. მხოლოდ ექვსმა მათგანმა დაარეგისტრირა ცალკე ორგანიზაცია სოციალური მეწარმეობისთვის. საშუალოდ, ასეთი აქტივობები ორგანიზაციების შემოსავლის 18%-ს წარმოადგენდა.

ორგანიზაციებს დამატებით დავუსვით შეკითხვები ბიზნესისგან დაფინანსების მიღების შესახებ. გამოკითხული ორგანიზაციების ერთმა მესამედმა განაცხადა, რომ ბიზნესისაგან მიუღია დაფინანსება 2018 წლიდან მოყოლებული 2020 წლის ბოლომდე.[28] თბილისში მოქმედი ორგანიზაციების დაახლოებით ერთმა მესამედმა (35%, 30 დაწესებულება), სხვა ქალაქებში არსებულთა 36%-მა (43 დაწესებულება) და სოფლის ორგანიზაციების 29%-მა (8 დაწესებულება) ასეთი ტიპის დაფინანსება მიიღო. იმავედ პერიოდში, 18% (44 დაწესებულება) ჩართული იყო ბიზნესებთან ერთად ერთობლივ პროექტში. ორგანიზაციების იმავე რაოდენობამ ბიზნესკომპანიას ანაზღაურებადი მომსახურება გაუწია. 14%-მა (34 დაწესებულება) ბიზნესებისგან მიიღო შემოწირულობები, ხოლო 7%-მა (17 დაწესებულება) - პრო-ბონო სერვისი.

ორგანიზაციებს ასევე დამატებით დავუსვით შეკითხვები სახელმწიფოსგან დაფინანსების მიღების შესახებ.გამოკითხული ორგანიზაციების 31%-მა განაცხადა, რომ 2018 წლის იანვრის შემდეგ მიიღო სახელმწიფო დაფინანსება. თბილისის ორგანიზაციების 36% (31 დაწესებულება), სხვა ქალაქების 37% (98 დაწესებულება) და სოფლის ორგანიზაციების 29% (8 დაწესებულება) სახელმწიფო დაფინანსების ბენეფიციარი იყო. გამოკითხულთა 16%-მა (39 დაწესებულება) განაცხადა, რომ დაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობისგან მიიღო, 13% კი სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა (33 დაწესებულება), 10%-მა

[28] გამოკითხვა ჩატარდა 2020 წლის ბოლოს, შესაბამისად, იგულისხმება 2018-2020 წლები.

სახელმწიფო გრანტი მიიღო. შედარებით ცოტა (8%) დაფინანსდა სახელმწიფო შესყიდვის ან მთავრობის მიერ გაცემული ვაუჩერის სახით.

2019 წელს, გამოკითხულმა ორგანიზაციებმა სახელმწიფოსგან დაახლოებით 4,3 მლნ. ლარი მიიღეს. ეს დაახლოებით 50%-იანი ზრდაა 2018 წელთან შედარებით, როდესაც ორგანიზაციები იმავე წყაროსგან 2,8 მლნ. ლარით დაფინანსდნენ. 2019 წელს მიღებული დაფინანსების დაახლოებით ორი მესამედი თბილისში მდებარე დაწესებულებებში განაწილდა (2,7 მლნ. ლარი). ორგანიზაციებმა სხვა დიდ ქალაქებში 1,6 მლნ. ლარი მიიღეს, ხოლო სოფელში მოქმედი ორგანიზაციები 30 500 ლარით დააფინანსეს. 2018 წელთან შედარებით, დაფინანსება გეოგრაფიული ნიშნით 2019 წელს ოდნავ უკეთესად იყო განაწილებული. 2018 წელს, თბილისში მოქმედმა ორგანიზაციებმა სახელმწიფო დაფინანსების სამი მეოთხედი (2 მლნ. ლარი), სხვა ქალაქებში – 757 ათსი ლარი, ხოლო სოფლებში 11 600 ლარი მიიღეს.

მონაწილეობა საჯარო პოლიტიკის დიალოგსა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობაში

სამთავრობო დაწესებულებებთან თანამშრომლობა

სსო-ების ნახევარზე ოდნავ ნაკლებს სამთავრობო დაწესებულებებთან საჯარო პოლიტიკის ინიციატივებზე უმუშავია. ამ მხრივ თბილისსა და ქალაქებში თავმოყრილი ორგანიზაციები გამოირჩევიან. ყველაზე მეტი ინიციატივა მიმართულია ახალგაზრდული პოლიტიკისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისკენ. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წამოყენებული შემოთავაზებების დიდი ნაწილი ადგილობრივი მთავრობის კომპეტენციაში შედის. ორგანიზაციების მესამედზე ოდნავ ნაკლებს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე უმუშავია.

ჯამში, გამოკითხულმა სსო-ებმა, სამთავრობო ერთეულებთან ერთად, 2018 წლიდან მოყოლებული განიხილეს 554 ინიციატივა. ორგანიზაციებმა თბილისიდან 259 ინიციატივა განიხილეს, სხვა ქალაქების სსო-ებმა – 262, ხოლო სოფლად არსებული სსო-ები მონაწილეობდნენ მხოლოდ 33 ინიციატივაში. ორგანიზაციებმა 400 ინიციატივაზე მოამზადეს რეკომენდაცია, აქედან 174 – თბილისში, 189 – სხვა ქალაქებში, ხოლო 37 რეკომენდაცია სასოფლო ტიპის დასახლებებში არსებულ სსო-ში მომზადდა.

გამოკითხულმა სსო-ებმა განაცხადეს, რომ სამთავრობო უწყებებმა მათ მიერ წარდგენილი ინიციატივების დაახლოებით ორი მესამედი განიხილეს (64%, 355 ინიციატივა). თბილისს გარეთ, ქალაქებში მოქმედმა ორგანიზაციებმა ყველაზე მეტ წარმატებას მიაღწიეს: სახელმწიფო ინსტიტუტებმა მათი 219 ინიციატივა განიხილეს. დედაქალაქის სსო-ებმა წარმატებით მოახერხეს 121 ინიციატივის ლობირება მაშინ, როდესაც სოფლებში არსებულმა ორგანიზაციებმა იგივე მხოლოდ 15 ინიციატივის შემთხვევაში შეძლეს.



დიაგრამა 11: ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული ინიციატივების რაოდენობა თემატური საკითხის მიხედვით

თუკი წარდგენილ ინიციატივებს თემატური თვალსაზრისით გავაანალიზებთ (იხ. დიაგრამა 11), ვნახავთ, რომ ყველაზე მეტი წინადადება ახალგაზრდულ პოლიტიკას ეხებოდა (212 ინიციატივა); ასევე სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას (128), სოფლის განვითარებას (102), კარგ მმართველობას (97), სოციალურ დაცვას (75), სოფლის მეურნეობას (71), ჯანდაცვასა (62) და ტურიზმის განვითარებას (61). ყველაზე ცოტა ინიციატივა მიმართული იყო შემდეგი საკითხებისკენ: უმაღლესი განათლება (11), მეცნიერება (10), სასამართლო რეფორმა და პრაქტიკა (3).

გამოკითხული ორგანიზაციების თქმით, 318 ინიციატივა სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მოამზადეს. თბილისის სსო-ებმა ამგვარად 137 ინიციატივაზე იმუშავეს. სხვა ურბანული ტიპის დასახლების ორგანიზაციების შემთხვევაში ასეთი იყო 157 ინიციატივა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში – 28.

სამოქალაქო საზოგადოების თითქმის სამასი ინიციატივა (275) შედიოდა საქართველოს ცენტრალური მთავრობის კომპეტენციაში. თბილისში რეგისტრირებული ორგანიზაციებმა 166 ასეთ ინიციატივაზე იმუშავეს, სხვა ქალაქების ორგანიზაციებმა 97, ხოლო სოფლებში რეგისტრირებულმა სსო-ებმა 12 მსგავს საკითხზე იმუშავეს.

უფრო მეტი ინიციატივა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაში შედიოდა (358). თბილისს გარეთ რეგისტრირებულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ამ ტიპის ყველაზე მეტ ინიციატივაზე იმუშავეს (237), მათ მოსდევთ სოფელში რეგისტრირებული ორგანიზაციები (62). თბილისში რეგისტრირებულმა ორგანიზაციებმა ადგილობრივი მთავრობის საკითხზე ყველაზე იშვიათად იმუშავეს (62).



დიაგრამა 12: საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების პროცესთან დაკავშირებული ინიციატივების რაოდენობა

გამოკითხული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაახლოებით 37% -მა (92 დაწესებულება) იმუშავა საკითხებზე, რომელიც ნაწილობრივ ან სრულად ეხებოდა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ამა თუ იმ ასპექტს. ყველა ტიპის დასახლებაში რეგისტრირებული ორგანიზაციების დაახლოებით ერთ მესამედს უმუშავია ევროკავშირთან ასოცირების რომელიმე ერთ საკითხზე მაინც.

საერთო ჯამში, ამ მიმართულებით სსო-ების მიერ ინიცირებული 152 საკითხი დემოკრატიულ პროცესებს შეეხებოდა (დიაგრამა 12), 114 სამოქალაქო საზოგადოების შესახებ იყო, 83 ბავშვთა უფლებებს, ხოლო 71 გენდერულ თანასწორობას ეხებოდა. ყველაზე ცოტა ინიციატივა მოიცავდა საბაჟო საკითხებს (6) და ფინანსურ მომსახურებას (5). მხოლოდ ოთხი ინიციატივა იყო კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

ინიციატივები კორონავირუსის პანდემიის შედეგების შემსუბუქების შესახებ

2020 წლის იანვრიდან დაწყებული, გამოკითხულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ (122 ორგანიზაცია, 49%) განახორციელა აქტივობები, რომლებიც ნაწილობრივ ან სრულად ეხებოდა კორონავირუსის პანდემიის შედეგების შემსუბუქების საკითხს. თბილისში რეგისტრირებული ორგანიზაციების 55%-მა პროცენტმა (47 დაწესებულება), სხვა ქალაქში 46% (63 დაწესებულება) და სოფლის ტიპის დასახლებაში რეგისტრირებულთა 44%-მა (12 დაწესებულება) ასეთი პროექტი განახორციელა. ჯამში, ორგანიზაციებმა 281 ასეთი პროექტი წამოიწყეს და განაცხადეს, რომ მსგავსი ინიციატივებით საქართველოს 100 ათასზე მეტმა მცხოვრებმა ისარგებლა.

სხვა აქტორებთან თანამშრომლობა

სსო-ები სხვა აქტორებთან აქტიურად თანამშრომლობენ. გამოკითხულ ორგანიზაციათა თითქმის სამმა მეოთხედმა აღნიშნა, რომ მათ 2018 წლიდან მოყოლებული ადგილობრივ თვითმმართველობასა და მედიასთან უმუშავიათ. შედარებით ნაკლებმა ბიზნესთან, უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებთან ითანამშრომლა.

თბილისში რეგისტრირებულ სსო-ების 64%-მა (55 დაწესებულება), ქალაქებში მოქმედი ორგანიზაციების 81%-მა (11 დაწესებულება) და სოფლის ტიპის დასახლებაში მოქმედთა 82%-მა (23 დაწესებულება) განაცხადა, რომ უმუშავიათ ადგილობრივ მთავრობასთან. თბილისის ორგანიზაციების თითქმის ორმა მესამედმა (71%, 59 დაწესებულება), 77%-მა სხვა ქალაქებში (106 დაწესებულება) და სოფლის ტიპის დასახლებებში 61%-მა (17) თბილისს გარეთ არსებულ ადგილობრივ მედიასთან ითანამშრომლა.

2018 წლის იანვრიდან მოყოლებული, გამოკითხულ ორგანიზაციათა 55%-ს (126) უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებთან უთანამშრომლია. ასეთი იყო თბილისში რეგისტრირებული ორგანიზაციების 58% (50 დაწესებულება), სხვა ქალაქების ორგანიზაციების 49% და ცხრა (32%) სსო-მ სოფლის ტიპის დასახლებებიდან.

სსო-ების 42%-მა (105 დაწესებულება) აღნიშნა, რომ მათ უთანამშრომლიათ ცენტრალურ მთავრობასა და დედაქალაქში არსებულ მედიასაშუალებებთან. ცენტრალურ მთავრობასთან თანამშრომლობა დაადასტურა თბილისში რეგისტრირებული ორგანიზაციების 59%-მა, სხვა ქალაქებიდან ერთმა მესამედმა (47 დაწესებულება) და სოფლის ორგანიზაციების 20%-მა (7 დაწესებულება). მედიის შემთხვევაში იგივე თქვა თბილისის 59%-მა, სხვა ქალაქების 34%-მა (46) და სოფლის ორგანიზაციების 32%-მა (9).

გამოკითხულ ორგანიზაციათა ნახევარზე ნაკლებმა ითანამშრომლა ბიზნესებთან. მთელი ქვეყნის მასშტაბით, სსო-ების დაახლოებით 40%-მა, მათ შორის 35%-მა თბილისში (30 დაწესებულება), 43%-მა სხვა ქალაქებში (59) და 43%-მა სოფლის ტიპის დასახლებებში (12) იმუშავა ბიზნესთან ერთად.

გამოკითხული ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული სამოქალაქო საზოგადოების ქსელებში. ორგანიზაციების დაახლოებით 70% აცხადებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კოალიციის, პლატფორმის ან ქსელის წევრია. თბილისში რეგისტრირებული ორგანიზაციების სამი მეოთხედი, ქალაქებში მოქმედი სსო-ების 70% და სოფლის ორგანიზაციების 60% რაიმე ფორუმის ან ქსელის წევრია.

ეფექტურობის თვითშეფასება

კვლევის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ვკითხეთ, როგორ აფასებენ ისინი საკუთარ ეფექტურობას, მათი აზრით, რა ძირითადი პრობლემის წინაშე დგანან ორგანიზაციები საქართველოში და როგორია მათი გავლენა საზოგადოებაზე. შედეგები აჩვენებს, რომ ორგანიზაციები განიცდიან ფინანსური რესურსების ნაკლებობას და თვლიან, რომ მათთვის მთავარი გამოწვევა დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებაა. გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მოსახლეობა სსო–ებს ნაწილობრივ ენდობა, ხოლო ბევრი ორგანიზაცია საკუთარ თავს გავლენიანად თვლის.

პრობლემებთან დაკავშირებით, ორი ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხი ფინანსებს შეეხება. ორგანიზაციის წინაშე მდგარ ორ მთავარ პრობლემად სსო–ების დაახლოებით 55%–მა (139 დაწესებულება) დაფინანსების წყაროების არასაკმარისი მრავალფეროვნება, ოდნავ ნაკლებმა (54%, 135 ორგანიზაცია) კი – თანხების დეფიციტი დაასახელა. ამასთან, გამოკითხულ ორგანიზაციათა დაახლოებით ერთმა მეხუთედმა (20%, 51 დაწესებულება) ხელისუფლების მხრიდან მათი მუშაობისადმი ინტერესის ნაკლებობა დაასახელა.

ორგანიზაციათა 13% (32 დაწესებულება) პრობლემად თანამშრომლების არასაკმარის რაოდენობას ასახელებს, 12%–მა (30 დაწესებულება) კი მუშაობაში მოხალისეების ჩართვა გამოყო იმ პრობლემათა შორის, რომელსაც 2019 წლიდან აწყდებოდნენ. ძალიან ცოტამ ახსენა საგადასახადო რეგულაციებში სიცხადის ნაკლებობა, ხელისუფლების ჩარევა მათ საქმიანობაში და სხვა მსგავსი ტიპის პრობლემები. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ტიპის დასახლებაში დაფუძნებული ორგანიზაციები პრობლემებთან დაკავშირებით გაჟღერებული პასუხების მიხედვით არ განსხვავდებიან.

კითხვაზე, ენდობა თუ არა საქართველოს მოსახლეობა სამოქალაქო საზოგადოებას, გამოკითხულ ორგანიზაციათა უმრავლესობას ამბივალენტური პასუხი ჰქონდა. 77% მთელი ქვეყნის მასშტაბით, თბილისის სამი მეოთხედი (73%, 63 დაწესებულება), 78% ორგანიზაციებისა ურბანული ტიპის დასახლებებიდან (107 დაწესებულება) და სოფლად არსებული ორგანიზაციების 86% (24 დაწესებულება) თვლის, რომ საზოგადოება სსო–ებს ნაწილობრივ ენდობა. საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების დაახლოებით 12%, მათ შორის თბილისში 8% (7 დაწესებულება), სხვა ქალაქებში 15% (20 დაწესებულება) და სოფლებში 14% (4 დაწესებულება), რომ საქართველოს მოსახლეობა სამოქალაქო საზოგადოებას სრულად ენდობა. გამოკითხული ორგანიზაციების 6%–მა განაცხადა, რომ ქვეყნის მოსახლეობა სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს არ ენდობა.



დიაგრამა 13: რომელია ის ორი ძირითადი პრობლემა, რომლის წინაშეც თქვენი ორგანიზაცია 2019 წლის იანვრიდან დღემდე დადგა? (%, რ-ნობა)

აღსანიშნავია, რომ გამოკითხული ორგანიზაციების ნახევარზე მეტი (52%, 130 დაწესებულება) თვლის, რომ საქართველოს მოსახლეობა უშუალოდ მათ ორგანიზაციას ენდობა. თბილისში დაფუძნებულ ორგანიზაციათა ნახევარი (43 დაწესებულება), 53% სხვა ქალაქებიდან (72 დაწესებულება) და 54% სოფლის ტიპის დასახლებიდან (15 დაწესებულება) თვლის, რომ მოსახლეობა მათ ორგანიზაციას ენდობა. გამოკითხულთა ერთ მესამედზე მეტი (37%, 92 დაწესებულება) თვლის, რომ მათ ნაწილობრივ ენდობიან. ასეთი რესპონდენტების პროპორცია გეოგრაფიის მიხედვით 36%-დან 38%-მდე მერყეობდა. მხოლოდ ცოტამ (8%, 19 დაწესებულება) თქვა, რომ საქართველოში მათ ორგანიზაციას არ ენდობიან.

ასევე, შესწავლილ იქნა გამოკითხული ორგანიზაციების აღქმა თავიანთი საქმიანობის ეფექტურობაზე. გამოკითხულთა დაახლოებით ერთი მეხუთედი (49 დაწესებულება) თვლის, რომ მათი ორგანიზაცია ერთ-ერთია ყველაზე გავლენიანთა შორის. დაახლოებით ნახევარი (47%, 117 დაწესებულება) თავს საშუალოდ გავლენიანად, ხოლო დაახლოებით მეხუთედი (24%, 60 დაწესებულება) ნაკლებად გავლენიანად მიიჩნევს.

თბილისში არსებული სსო-ები უფრო მეტად მიიჩნევენ თავს გავლენიანად. ამ ჯგუფის ერთ მესამედზე მეტი (35%, 30 დაწესებულება) თავს გავლენიანად მიიჩნევს. სხვა ქალაქებსა (12%, 16 დაწესებულება) და სოფლებში (11%, 3 დაწესებულება) იგივე მაჩვენებელი ნაკლებია. თბილისის ორგანიზაციების 40% (34 დაწესებულება), სხვა ქალაქების 51% (70 დაწესებულება) და სოფლის ტიპის დასახლებების 46% (13 დაწესებულება) თავს საშუალოდ გავლენიანად მიიჩვევს. დედაქალაქში არსებული ორგანიზაციების ერთი მეხუთედი (17 დაწესებულება), ქალაქში მომუშავეთა ერთი მეოთხედი (33 დაწესებულება) და სოფლებში 36% თვლის, რომ არ არის გავლენიანი.

დასკვნა და რეკომენდაციები

წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეიძლება. ამ დრომდე გამოწვევაა საქართველოში მოქმედი სსო-ების რეალური რაოდენობის დადგენა. აღნიშნული გამოწვევის ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი ორგანიზაციების არაკომერციული იურიდიული სტატუსის გადაფარვაა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებთან. ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულია 24 ათასი არაკომერციული ორგანიზაცია (ააიპ), მათ შორის 3 ათასი აქტიური დაწესებულებაა. ჩვენი შეფასებით, აქედან დაახლოებით 2,3 ათასი მათგანი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციად შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ როცა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი 1,2 ათასამდე სსო-ს ითვლის თავის ბაზაში.

სსო-ები საქართველოს ყველა რეგიონშია წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ მათ ნაწილს რეგისტრაციის ადგილისგან განსხვავებულ დასახლებებშიც ყავთ წარმომადგენლობები, გამოკითხული ორგანიზაციები ძირითადად მაინც საქალაქო დასახლებებიდან საქმიანობენ, მათ შორის თბილისიდან და სხვა ურბანული ცენტრებიდან.

გამოკითხულ ორგანიზაციებს საშუალოდ, რვა სრულ განაკვეთზე დასაქმებული თანამშრომელი ჰყავთ. დაახლოებით ერთ მეხუთედს მხოლოდ ერთი თანამშრომელი ჰყავს ან საერთოდ არ ჰყავს მუდმივი თანამშრომელი. ქალების წილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომლებში საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით – თბილისში. სსო-ების უმრავლესობა მოხალისეობრივ საქმიანობაში ძირითადად ახალგაზრდებს და ქალებს რთავს. სოფლის ტიპის დასახლებებში მოქმედ სსო-ებს სხვებთან შედარებით ყველაზე მეტი მოხალისე ჰყავთ.

ორგანიზაციული მახასიათებლების განხილვისას, უმრავლესობა თავს სათემო ორგანიზაციად მიიჩნევს. მხოლოდ ერთ მეათედს აქვს საქველმოქმედო სტატუსი.

თემატურად, გამოკითხული ორგანიზაციები მრავალფეროვან საკითხებს ფარავენ, ხშირად მუშაობენ სხვადასხვა თემაზე ერთდროულად. ახალგაზრდული პოლიტიკა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვის საკითხები ყველაზე გავრცელებული საკითხებია.

ბევრი ორგანიზაციის ფინანსური და ოპერაციული გამჭვირვალობა გაუმჯობესებას საჭიროებს. გამოკითხულთა შედარებით მცირე ნაწილი ამზადებს და აქვეყნებს ფინანსურ და საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს. გამჭვირვალობის ნაკლებობამ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სამოქალაქო საზოგადოების მიმართ მოსახლეობაში არსებულ ნდობაზე.

სსო-ები შედარებით კარგად არიან წარმოდგენილი სოციალურ მედიაში – ორგანიზაციების 84%-მა განაცხადა, რომ აქვთ „ფეისბუქის“ გვერდი. უმრავლესობა ინფორმაციის გავრცელების ყველაზე ეფექტურ წყაროდაც სოციალურ მედიას მიიჩნევს.

სსო-ების უმრავლესობა იყენებს ინფორმაციის გავრცელების სტრატეგიას. უმრავლესობა ატარებს კონსულტაციებს ბენეფიციარებთან. ისინი საკუთარ აუდიტორიას ხვდებიან პროექტის შემუშავების ან სტრატეგიების ფორმულირების მიზნით.

ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის თვალსაზრისით, კოვიდ-19 პანდემიამდე, ორგანიზაციების ჯამური ბრუნვა იზრდებოდა. გამოკითხულმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ მათი მთლიანი ბრუნვა 2019 წელს 65 მლნ ლარი იყო, ანუ 2018 წელთან შედარებით 16.7 მილიონიანი ზრდა დაფიქსირდა. თუმცა, თბილისში განთავსებულ და მის გარეთ მოქმედ ორგანიზაციებს შორის დიდი სხვაობაა.

სსო-ების ფინანსური მდგომარეობა ძალიან დამოკიდებულია საერთაშორისო დონორებზე და დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნების ნაკლებობას განიცდის. გამოკითხულ ორგანიზაციათა შემოსავლის 53%-ს 2019 წელს საერთაშორისო დონორებისგან მიღებული გრანტი წარმოადგენდა. ამავე წელს, სსო-ებს დაფინანსების საშუალოდ ერთი წყარო ჰქონდათ. დედაქალაქში მოქმედ ორგანიზაციებს სხვებისგან განსხვავებით შედარებით მეტი დაფინანსების წყარო ჰქონდათ. ცხადია, ორგანიზაციების უმრავლესობა დაფინანსების წყაროების არასაკმარის მრავალფეროვნებას მთავარ პრობლემად ასახელებს.

ძალიან ცოტა იყენებდა დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებს. 2019 წლის განმავლობაში, სსო-ების ერთი მეხუთედი ეწეოდა დამატებით ეკონომიკურ აქტივობას და მხოლოდ 6%-მა თანხის მასობრივი მობილიზების მექანიზმი, ე.წ. ქრაუდფანდინგი (Crowdfunding).

2018-2020 წლებში დაახლოებით ერთი მესამედს ქონდა დაფინანსება ბიზნესისგან, 18% იყო ჩართული მათთან ერთობლივ პროექტებში, ორგანიზაციების იმავე რაოდენობას გაუწევდა ფასიან მომსახურებას კომპანიებისთვის.

2018-2020 წლებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თითქმის ერთმა მესამედმა მიიღო სახელმწიფო დაფინანსება. გამოკითხულთა 16%-მა ადგილობრივი თვითმმართველობისგან მოიპოვა დაფინანსება, 13%-მა - პროგრამული დაფინანსება, 10%-მა კი სახელმწიფო გრანტი მიიღო. საერთო ჯამში, სახელმწიფო ფონდებიდან 2018-2020 წლებში სსო-ებს გადაეცათ 4,3 მლნ. ლარი, რაც 2016-2017 წლებთან შედარებით, თითქმის 50%-იან ზრდას (2.8 მლნ. ლარი) წარმოადგენდა.

სსო-ების თითქმის ნახევარი (47%) ჩართული იყო ხელისუფლებასთან პოლიტიკურ დიალოგში სხვადასხვა სახის ინიციატივების მომზადებისა თუ რეკომენდაციების წარდგენის სახით. ესენი ძირითადად თბილისსა და სხვა ქალაქებში მოქმედი სსო-ები იყვნენ. ინიციატივების უმრავლესობა ახალგაზრდულ პოლიტიკასა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა.წარდგენილი ინიციატივების უმეტესობა ადგილობრივი მთავრობის იურისდიქციაში ხვდებოდა.

გამოკითხული სსო-ების დაახლოებით 37%-ს უმუშავია საკითხებზე, რომლებიც ნაწილობრივ ან სრულად უკავშირდებოდა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების პროცესს.

სსო-ები აქტიურად მუშაობენ სამოქალაქო სექტორის სხვა წარმომადგენლებთან.

ორგანიზაციების თითქმის ნახევარს (49%) განუხორცილებია კორონავირუსის პანდემიის შედეგების აღმოსაფხვრელი პროგრამები.

ზოგადად, ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობა მათ ნაწილობრივ ენდობა. ამასთან, ბევრი მიიჩნევს, რომ მათ საქართველოში მათ მაღალი ან საშუალო გავლენა აქვთ.

ემპირიული ანალიზიდან გამომდინარობს შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მეტი ფინანსური და ოპერაციული გამჭვირვალობა ესაჭიროებათ. რეკომენდებულია, რომ მათ გამოაქვეყნონ ყოველწლიური ფინანსური და საქმიანობის ანგარიშები და აქტიურად გაავრცელონ საზოგადოებაში.
- ჯამური ბრუნვის ზრდის მიუხედავად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციები ძალიან მოიკოჭლებენ დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნების თვალსაზრისით. ამიტომ, სასურველია დაფინანსების ალტერნატიულ წყაროების მოძიება.
- ორგანიზაციების იმ ნაწილმა, რომელიც ჩართულია ბიზნესთან საერთო პროექტებში ან იღებს სახელმწიფო დაფინანსებას, უნდა უზრუნველყონ, რომ მათი პროგრამები და აქტივობები დამფინანსებლების სასარგებლოდ მიკერძოებული არ გახდეს.
- კვლევა აჩვენებს, რომ ორგანიზაციებისთვის საჯარო პოლიტიკის რეკომენდაციების კომუნიკაციის საუკეთესო ადგილი ადგილობრივი თვითმმართველობებია. შესაბამისად, სასურველია, რომ მეტმა სსო-მ ითანამშრომლოს ადგილობრივ თვითმმართველობებთან და ადვოკატირება გაუწიოს მათი ბენეფიციარებისა და თემის საჭიროებებს.

ბიბლიოგრაფია

CRRC–Georgia. 'Trust to NGOs'. Caucasusbarometer.org, 2021. https://caucasusbarometer.org/en/cb2020ge/TRUNGOS/.

CSO Georgia. 'Main page [მთავარი გვერდი]'. CSO Georgia, 2021. https://csogeorgia.org/ge.

Datuashvili, Eka. 'სოციალური მეწარმეობა საქართველოში: საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა [Social Entrepreneurship in Georgia: A Review of Georgian Practice]'. Tbilisi: Civil Society Institute, 2020. https://www.civilin.org/pdf/Social_Enterprise_geo.pdf.

EU Delegation. 'EU Roadmap for Engagement with Civil Society in Georgia, 2018 – 2020'. Tbilisi, 2018. https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/dc3/6b3/5cddc36b36e40129876779.pdf.

Georgian Civil Society Sustainability Initiative. 'Baseline Study of the Project'. Tbilisi, CSSIGE 2018.

Gogidze, Lasha. 'Analysis of a Legislative Framework and Practices on Public Participation and Consultations in Georgia'. Tbilisi: Sofreco, 2021.

Gvaramadze, Tamar. 'Assessment of Laws and Procedures: Georgia'. In *Civil Participation in Decision Making in the Eastern Partnership Countries. Part One: Laws and Policies*, edited by Jeff Lovitt. Strasbourg: Council of Europe, 2016. https://rm.coe.int/168065755a.

Latsabidze, Mariam. 'Assessing the Civil Society Environment in the Eastern Partnership Countries: Georgia'. Tbilisi: Civil Society Institute, 2019.

McCarthy, Erin, Asta Zinbo, Michael Kott, Jennifer Stuart, and Natalia Shapovalova. '2019 Civil Society Organization Sustainability Index'. Washington, DC: USAID, 2019.

Reisner, Oliver. 'On the Specifics of the Development of Civil Society in Georgia'. In *Modernisation in Georgia: Theories, Discourses and Realities*. Bern, Berlin: Peter Lang, 2018. https://doi.org/10.3726/b12792/17.

Salamadze, Vazha, and Ketevan Iremashvili. 'სსო მეტრი: სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. საქართველოს ანგარიში [CSO Meter: Operating Environment of Civil Society Organisations in the Countries of Eastern Partnership. A Georgia Report]'. Tbilisi: European Centre of Noncommercial Law, 2020.